დამნაშავე, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია A3

არასრულწლოვანს მკვლელობის მცდელობისთვის ეძებენ A3

რუსეთის აგრესიის საპარლამენტო რეზონანსი A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 26 აგვისტო 2002 წელი. №85

ფასი 50 თეთრი

## სამხედრო სწავლება "კახეთი - 2002" საზეიმოდ გაიხსნა

ლევან ღირსიაშვილი

**"საუკუნეების წინ აქ იყო თავყრილობა, რის შედეგადაც ქართველებმა დუშმანს ბახტრიონი წაართვეს. იმის შემდეგ აქ ჯარი არ შეკრებილა. თქვენს წინ ალავერდის ტაძარი და ბახტრიონის ნანგრევებია, და ეს უნდა გახსოვდეთ.**

**გილოცავთ დღევანდელ დღეს და იდექით ასევე ლამაზად წრთვნების დასრულების ბოლომდე!"** – ასე მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ქართველ საჯარისო შენაერთებს, რომელნიც თავდაცვის სამინისტროს ეგიდით დაწყებულ წვრთნებზე შეიკრიბნენ.

სამხედრო სასწავლო წვრთნა "კახეთი - 2002" 25 აგვისტოს დილით ახმეტის რაიონის სოფლების - ფიჩხოვანისა და და მაღრაანის - მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა.

აქ შეკრებილ, დაახლოებით, 1500-მდე ქართველ ჯარისკაცს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ, თელავის გამგებელმა მედეა მეზვრიშვილმა. ახმეტის გამგებელმა ნუკრი ალავიძემ და თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

"კახეთი - 2002"-ის საზეიმო გახსნის შემდეგ, მოწვეულ სტუმრებს და ჟურნალისტებს სამხედრო ბანაკების დათვალიერების საშუალება მოგვცეს. სწავლების მონაწილე

გაგრძელება A3 გვერდზე



სამხედრო სწავლებაზე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## ჭარბი ძალის დემონსტრირება პერმანენტული უძლურების დასაფარად

კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება",
სპეციალურად „24 საათისათვის"

*პანკისის ხეობა ორი დღის განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მილიტარიზებულ ზონად იქცა. ფიჩხოვანისა და ზემო ალვანის საზღვრებზე დაბანაკებულია თავდაცვის სამინისტროს, დაახლოებით, ათასამდე სამხედრო მოსამსახურე და მძიმე ტექნიკა. დაახლოებით, ამდენსავე ჯარისკაცს მოითვლის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები და უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანაყოფის მებრძოლები, რომლებმაც 25 აგვისტოს მარშით გაიარეს ხეობის ყველა დასახლებული პუნქტი და ნაშუადღევს ომალოში გამაგრდნენ. ამ უპრეცედენტო სამხედრო ძალის კონცენტრირებით ოფიციალური თბილისი ცდილობს, დაამყაროს კონსტიტუციური წესრიგი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, რომელიც დღემდე ტერორისტებისა და დამნაშავეთა სამყაროს კონცენტრაციის ადგილად ითვლება.*

პანკისის ხეობის მისადგომებთან დაწყებული სამხედრო მანევრები "კახეთი 2002" გარეგნულად ძალიან ორგანიზებული და ოპტიმალური საველე მეცადინეობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ზუსტად ვერავინ იტყვის, თუ რაში მდგომარეობს მისი ყბადაღებული ანტიტერორისტული ხასიათი და რამდენ ხანს გასტანს იგი. ღონისძიების გახსნის საზეიმო

გაგრძელება A2 გვერდზე

## დასავლეთი შეტევაზე გადადის

შოთა უტიაშვილი

თეთრი სახლის პრეს-სამსახურის განცხადება:

**შეერთებული შტატები გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას, 23 აგვისტოს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ ჩრდილოეთ საქართველოს სოფლების დაბომბვასთან დაკავშირებით, რასაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვა. აღნიშნულ ფაქტს სანდო წყაროები ადასტურებენ. საქართველოს მთავრობამ და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სასაზღვრო დამკვირვებლებმა დაადასტურეს დაბომბვის ფაქტი. შეერთებული შტატები მწუხარებას გამოთქვამს ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და გმობს საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას.**

**შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. აშშ მიესალმა რუსეთის მთავრობის ანალოგიურ განცხადებას. მაგრამ, გუშინდელი თავდასხმა და რუსეთის მთავრობის მიერ მათი უარყოფა მოწმობს რუსეთის მიერ დადებული პირობის დარღვევას და იმ ფონზე, როდესაც იკვეთება რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების თანამშრომლობის გზით მოგვარების პერსპექტივა, კიდევ უფრო ძაბავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. ამ კონტექსტში, ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს ჩეჩნეთის კონფლიქტის სასწრაფო პოლიტიკური მოგვარებისაკენ, რაც ხელს შეუწყობს სტაბილურობას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე კავკასიაში მშვიდობის დამყარების საქმეში.**

ამერიკული ტელეკომპანიების - "ეი-ბი-სის" და "სი-ენ-ენის" ცნობით, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, სატელეფონო საუბარში, პირადად გადასცა თავის რუს კოლეგას ამერიკის მთავრობის პოზიცია დაბომბვებთან დაკავშირებით და რუსეთს ჩეჩნეთის კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარება მოსთხოვა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამჟამად საპასუხო განცხადებას ამზადებს.

როგორც "სი-ენ-ენი" იუწყება, საქართველოზე თავდასხმის ფაქტს გამოეხმაურა სენატორი სემ ბრაუნბეკიც, რომელმაც რუსეთს მსგავსი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და საქართველოსათვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. სენატორმა რუსეთი კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ძირგამომთხრელი მოქმედებების დაწყებაშიც დაადანაშაულა.

ბრიტანული "ბი-ბი-სის" ცნობით, ვაშინგტონი, რომელიც ბოლო დროს მოსკოვს საკმაოდ დაუახლოვდა, ფიქრობს, რომ ამჯერად რუსებს მეტისმეტი მოუვიდათ.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია ეუთო-ს სახელით დაგმო მისმა თავმჯდომარე ქვეყანამ - პორტუგალიამ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარი

### ვინ (რა) აწესრიგებს მოძრაობას საქართველოში: ედუარდ შევარდნაძე თუ შუქნიშანი?

ია ანთაძე
რადიო "თავისუფლება",
სპეციალურად "24 საათისთვის"

ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში ერთბაშად ბევრი პრობლემა გაჩნდა. არც ერთი მათგანი ახალი არ არის - არც დესანტი, არც სამშვიდობო ძალების უკონტროლო ქმედება, არც დაბომბვა - ოღონდ, როცა ყველაფერი ერთბაშად ხდება და, თანაც, მსხვერპლით მთავრდება, უნებლიე დამთხვევაზე, ალბათ, არ უნდა ვიფიქროთ.

პირიქით, საფიქრებელია, რომ სადღაც, რომელიღაც კაბინეტებში ზუსტად გათვალეს, როდის და რა ძალები უნდა ამოქმედებულიყვნენ საქართველოში ვითარების დასაძაბად. კონფლიქტის კერები ჩნდება მაინცდამაინც საზღვრის ჩრდილოეთი პერიმეტრის გასწვრივ და ჩვენთვის უარყოფით ქმედებას თავიდან ბოლომდე რუსეთის სამხედრო ძალები ახორციელებენ.

რა მიზანი უნდა ჰქონდეთ რუს სამხედროებს? მათი მიზნები საქართველოს მოსახლეობისთვის, ცხადია, მუდამ გასაიდუმლოებულია.

სამაგიეროდ, რუსი პოლიტოლოგები დაუფარავად საუბრობენ მიზანზე: საქართველოს ახალ ლიდერზე, რომელიც გაცილებით მეტი გაგებით მოეკიდება რუსეთის ინტერესებს, ვიდრე ედუარდ შევარდნაძე (იხ. "24 საათი", 1 აგვისტო). რუსი ექსპერტები საიდუმლოს არც იმ ფაქტისგან ქმნიან, რომ პუტინს ელცინის მემკვიდრეობისგან გათავისუფლება სურს და ეს, პირველ რიგში, ეხება სტამბულის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვას გულისხმობს. რუსეთისათვის სასურველი ლიდერი საქართველოში სწორედ ის იქნება, ვინც ამ პროცესის გაჭიანურებას გაგებით და მოთმინებით შეხვდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რა არის "იტერას" მთავარი ინტერესი საქართველოში

გიორგი კალანდაძე
სოფო კვინტრაძე

*"იტერა-ჯორჯია" – ასე ერქმევა ერთობლივ საწარმოს, რომელსაც რამდენიმე თვეში საქართველოს მთავრობა და აშშ-ში რეგისტრირებული რუსული ფესვების მქონე კომპანია "იტერა ინტერნეშენელ ენერჯი ელ-ელ-სი" დააფუძნებენ. ახალი კომპანიის საწესდებო კაპიტალი 10 ათასი ლარია. საწარმოს დაფუძნების შემდეგ საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს სააუდიტო კომპანიის გამოსავლენად, რომელიც შეისწავლის "იტერას" შვილობილ "საქგაზში" შემავალი გაზგამანაწილებელი კომპანიებისა და ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოს ხელში*

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☼ |
| ქუთაისი | 24 | ☁ |
| ბათუმი | 22 | ☂ |
| ქობულეთი | 22 | ☂ |
| სოხუმი | 24 | ☼☁ |
| ფოთი | 23 | ☂ |
| თელავი | 22 | ☼ |
| ზუგდიდი | 24 | ☼ |
| გორი | 20 | ☂ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1339 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3341 |
| რუბლი | 0.0692 |

## ჩეჩნები აცხადებენ, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ

სტივენ ლი მეიერსი
„ნიუ-იორკ ტაიმსი", 23 აგვისტო

27 ივლისის ღამეს, მებრძოლთა 60-კაციანი რაზმი ღამის გასათევად სამხრეთ ჩეჩნეთის ერთი პატარა მდინარის ახლოს დაბანაკდა. რამდენიმე საათში მათ რუსეთის მთელი სამხედრო მანქანა დაატყდა თავს.

საჰაერო დარტყმებისა და საარტილერიო დაბომბვის შედეგად რაზმი კერიგოს ხეობაში, იტუმ-ყალეს სამხრეთით გაიფანტა. **"მათ სრულიად მოულოდნელად დაიწყეს დაბომბვა,** – ამბობს 35 წლის რუსლანი, – **ჩვენ ფეხსაცმლის ჩაცმაც ვერ მოვასწარით".**

ამ დაბომბვის შემდეგ დაიწყო ბრძოლა, რომელმაც 4 დღეს გასტანა. მებრძოლებმა, რომელთა უმეტესობაც უკვე მძიმედ იყო დაჭრილი, წინააღმდეგობის გაწევას გაცლა ამჯობინეს, მაგრამ მათ წინააღმდეგ უკვე რუსული სადესანტო რაზმები ამოქმედდნენ. ბრძოლებში 8 რუსი და რამდენიმე ათეული ჩეჩენი დაიღუპა, მათ შორის, მეთაურიც.

გაგრძელება A3 გვერდზე



"ყველას ვერ დაგვხოცავენ!"

REUTERS

## პანკისის ოპერაციის მორიგი რაუნდი

ინგა ალავიძე

პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის პირველი ეტაპი ჩატარდა. გუშინ ხეობაში შინაგანი ჯარის დამატებითი ნაწილები და მძიმე ტექნიკა შევიდა. სამხედრო შენაერთებმა, რომლებსაც ზურგს შსს-ს დანაყოფები უმაგრებდნენ, პანკისი ბოლომდე დაუმორჩილეს საკუთარ კონტროლს. ხეობა ქართველ ძალოვანთა საგუშაგოებით დაიფარა. სოფლებში - დედისფერულში, ბირკაანში, ყვარელწყალში, ხალაწანში, წინუბანსა და ომალოში - ახალი საგუშაგოები ამოქმედდა. გუშინწინ ხეობის მისადგომებთან გახსნილ ექვს საგუშაგოს, გუშინ შვიდი ახალი ბლოკ-პოსტი დაემატა.

საგუშაგოები იმ ტერიტორიაზეც გაიხსნა, სადაც აქამდე ქართველ სამართალდამცველთა იურისდიქცია არ ვრცელდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 ეკონომიკა A3 უცხოეთი A3 სამართალი A4 პოლიტიკა A4 თვალსაზრისი

B2 რეკლამა B3 პრეს-ომბუდსმენი B4 სხვადასხვა

**ზუგდიდი.** საქართველოს ხელისუფლებას სამდღიანი ულტიმატუმი წაუყენეს ენგურის ხიდზე მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებმა. აფხაზეთიდან დევნილები, უკვე მეოთხე დღეა, ენგურზე პროტესტის მშვიდობიან ფორმას მიმართავენ. დევნილები კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოების გაყვანას და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებას მოითხოვენ.

აქციის მონაწილეები მხარს უჭერენ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებს და უნდობლობას უცხადებენ აჭარის ავტონომიის მეთაურს ასლან აბაშიძეს, რომელიც დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ, თუ ხელისუფლება სამდღიან ვადაში არ შეასრულებს მათ მოთხოვნებს, სამეგრელოში მცხოვრები დევნილები ფართომასშტაბიან აქციებს მიმართავენ, რომლებსაც სხვა რეგიონებში მცხოვრები დევნილებიც შეუერთდებიან. ამავდროულად ისინი კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების განახლებითაც იმუქრებიან. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმში გამოცემულმა "ნუჟნაია გაზეტამ" ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის შედეგად განისაზღვრა 20 პოლიტიკოსი, რომლებსაც შეუძლიათ რეალური პრეტენზია განაცხადონ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე. მოქმედი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა მძიმედაა ავად და შესაძლოა, გადადგეს.

გამოკითხვისას გამოიკვეთა სემდეგი კანდიდატები: სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, აფხაზური პარლამენტის ვიცე-სპიკერი კონსტანტინე ოზგანი, შს ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, სოხუმის ყოფილი მერი ნოდარ ხაშბა, ყოფილი პრემიერი სერგეი ბაღაფში, "აიტარას" თანათავმჯდომარე ლეონიდ ლაკერბაია, თავდაცვის მინისტრი რაულ ხაჯიმბა, პარლამენტის დეპუტატი თამაზ ქეცბა და სპიკერი ნუგზარ აშუბა.

პირველ ათეულში მყოფებს დაუსვეს შეკითხვა, თუ რამდენად ეთანხმებიან ისინი გამოკითხვის შედეგებს. ჯერგენიამ, შამბამ, ხაშბამ, ბაღაფშმა, ქეცბამ, აშუბამ უარი თქვეს კომენტარზე და განაცხადეს, რომ არ ფიქრობენ ამ საკითხზე. ანქვაბმა და ლაკერბაიამ კი დაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ პრეზიდენტობის პოსტზე.

"ნუჟნაია გაზეტამ" "უცნაურად" ჩათვალა, რომ არც ერთმა პოტენციურმა კანდიდატმა დარწმუნებით არ განაცხადა თავისი მზაყოფნის შესახებ, კენჭი იყაროს ამ პოსტზე და აღნიშნა, რომ "აფხაზეთში ეს თანამდებობა ან სათანადოდ არ არის დაფასებული, ან მენტალიტეტი არ აძლევს გამოკითხულებს უფლებას, ამ საკითხთან დაკავშირებით გულახდილები იყვნენ". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა უახლოეს დღეებში საქმის მასალების გაცნობას დაასრულებს. როგორც კავკას-პრესს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა აკაკი ბუდალაშვილმა განუცხადა, ის 10-დან 7 ტომს უკვე გაეცნო.

აგვისტოში 9 თვე გადის მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხურცილავა მკვლელობაში ბრალდებულად იქნა აღიარებული და სასამართლოს მიერ მას აღმკვეთი ღონისძიება აქვს მისადაგებული. მთელი ამ ხნის მანძილზე ის არ უარყოფდა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა და მიზეზად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წამოჭრილ კამათს ასახელებდა.

გრიგოლ ხურცილავას ბრალეულობას ნაკლებად ეთანხმება დაზარალებული მხარე - გიორგი სანაიას ქვრივი ხათუნა ჩხაიძე. ის აცხადებს, რომ ხურცილავა მკვლელობის ნამდვილ მიზეზს და დამკვეთის ვინაობას მალავს.

რაც შეეხება იმას, ეცნობა თუ არა მასალებს დაზარალებული მხარე, აკაკი ბუდალაშვილი აცხადებს, რომ 10-ვე ტომის ქსეროასლი ხათუნა ჩხაიძეს უკვე წაღებული აქვს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიიჩნევს, რომ აშშ-ს ადმინისტრაციის განცხადება, ქართული სოფლების დაბომბვასთან დაკავშირებით, "გამოირჩევა პრინციპულობით, სიმკაცრითა და მოთხოვნების კატეგორიულობით".

ამ დაბომბვის შემდეგ, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, "მთელი მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს", - აცხადებს პრეზიდენტი.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა თეთრი სახლის განცხადებაში საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერას.

აშშ მიიჩნევს, რომ რუსეთის განცხადებები საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემისა და მხარდაჭერის შესახებ, ვერანაირად ვერ მოდის შესაბამისობაში ქართული სოფლების დაბომბვასთან, - თქვა ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა თეთრი სახლის პოზიციას ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში, როდესაც ანტიტერორისტული კოალიცია შეიქმნა, ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ ჩეჩნეთში ადამიანების სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, ამჟამად კი საფუძვლიანად გაიჟღერა მოთხოვნამ ჩეჩნეთში მშვიდობის პოლიტიკური მეთოდებით დამყარების შესახებ, - აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

მან აშშ-ის ამ მოთხოვნას "ახალი და სერიოზული მოვლენა" უწოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „პანკისის ხეობაში სპეცოპერაცია მაშინ დავიწყეთ, როცა საჭირო იყო", — ასეთი კომენტარი გააკეთა პრეზიდენტმა შევარდნაძემ იმ ოპონენტების კრიტიკაზე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის დაწყება გვიანდება. პრეზიდენტის თქმით, შინაგანი ჯარი და უშიშროების სამინისტროს საგანგებო რაზმები, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე შევიდნენ. „ეს იყო როგორც ქართველი, ასევე ქისტი მოსახლეობის თხოვნა", — განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ. „ეჭვი არ მეპარება, რომ იქ შესული ახალგაზრდები თავიანთ მისიას ბრწყინვალედ შეასრულებენ და მოსახლეობასთან არავითარი გაუგებრობა არ შეიქნება", — განაცხადა პრეზიდენტმა. შემოდგომაზე მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ წინასწარმეტყველებას პრეზიდენტმა „ზღაპარი" უწოდა. „იმედი მინდა გავუცრუო წინასწარმეტყველებს. დღეს პანკისის ხეობაში ხდება წესრიგის დასამყარებლად ძალის დემონსტრირება და თუ ვინმეს გული შესტკივა, ქვეყნის სტაბილურობის განმტკიცებაზე უნდა ისაუბროს," — განაცხადა შევარდნაძემ. **მედია-ნიუსი**






# ჭარბი ძალის დემონსტრირება პერმანენტული უძლურების დასაფარად

პირველი გვერდიდან

ცერემონიაზე სამხედრო ხელმძღვანელობა უფრო მეტს საუბრობდა სწავლების ისტორიულ როლზე, მხედრული სულის აღორძინებაზე (რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია), ვიდრე იმაზე, თუ რა ლეგენდის მიხედვით უნდა იმოქმედოს 600-მა სამხედრო მოსამსახურემ და რა მიზანს ისახავს მთლიანობაში ეს სწავლება.

მაგრამ პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენათა განვითარებას თუ კარგად გავაანალიზებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასიკური სქემიდან სწავლების ამოვარდნას თავისი მიზეზები აქვს. პირველ ყოვლისა, "კახეთი - 2002" მთელი იმ ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ღონისძიებების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია, რომლის პირველ ეშელონში შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარისა და უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალები იმყოფებიან. შემთხვევითი არ არის, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მთელი ოპერატიული მართვა სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრს დააკისრა, რაც, შესაძლოა, საკამათო გადაწყვეტილება იყოს საომარი მოქმედების დროს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, თბილისი



*ჯავშანტექნიკა მზადყოფნაშია* გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კიდევ ერთხელ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ამჯერად აქცენტი სწორედ ანტიკრიმინალურ, და არა სამხედრო, ძალისხმევაზე კეთდება. ამ სცენარში თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები ერთგვარად მეორე ეშელონში იმყოფებიან და მათ დამხმარე ძალის ფუნქცია ენიჭებათ - იმ შემთხვევაში, თუკი ხეობას პირდაპირი სამხედრო აგრესიის საფრთხე დაემუქრება. სწორედ ამისთვის არის მოზიდული ხეობაში მძიმე ტექნიკა, საარტილერიო და, განსაკუთრებით, საზენიტო დანადგარები, რომლებიც ჯავშანმანქანებზეა დამონტაჟებული და გარკვეული საფრენი აპარატების ჩამოგდება შეუძლიათ.

ასეთი საშიშროება კი რეალურად არსებობს. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვალერი ჩხეიძის განცხადებით, ოპერატიული ვითარება საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ძალიან მძიმეა და არ გამოირიცხება შეიარაღებული ჯგუფების გადმოსვლაც. სწორედ ამის გამო სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა იძულებული იყო, გაეძლიერებინა სასაზღვრო საგუშაგოები ამ ოპერატიულ მიმართულებით. თუმცა, როგორც ირკვევა, სხვა საგუშაგოების შეთხელების ხარჯზე, რაც სამხედრო თვალსაზრისით გამართლებული არ არის. საერთოდ, პანკისის ხეობაში თვალში საცემია ჭარბი შეიარაღებული ძალის კონცენტრირება. მთებში ჩაკარგული პატარა რაიონი, სადაც წლების განმავლობაში ერთი შეიარაღებული ქართველი ჯარისკაცის ჭაჭანებაც არ იყო, დღეს ნამდვილ სამხედრო ბანაკს წააგავს. სამხედრო ძალების ასეთი უსისტემო კონცენტრაცია კი უფრო საბჭოურ სტილშია და მისი ეფექტიანობა, სამხედრო თვალსაზრისით, ყოველთვის ეჭვს იწვევს, მით უფრო, პატარ-პატარა ბანდიტური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რომლებიც მთაგორიან ადგილებში მოხერხებულად იყენებენ პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას.

მაგრამ რაც არის, ეს არის. თანაც, თუ საქმე საქმეზე მიდგება, გამუდმებით უძლურების დემონსტრირებას ისევ ძალის დემონსტრირება სჯობს.

# რა არის "იტერას" მთავარი ინტერესი საქართველოში

პირველი გვერდიდან

*დარჩენილი გაზმეურნეობის სხვა ბიზნეს-სუბიექტების ქონების ზუსტ ღირებულებას. აუდიტის დასკვნის საფუძველზე მოხდება ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალის შემდგომი გადახედვა. თუმცა, ეს პროცესი არ შეცვლის აწ უკვე დადგენილ პროპორციებს, რომლის თანახმადაც, ერთობლივი საწარმოს წილის 51 პროცენტი "იტერას" კონტროლქვეშ იქნება. საწესდებო კაპიტალის ზრდის პროცესი 2003 წლის პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს.*

### "იტერას" პანკისური კვალი

რუსეთის ავიაციის მიერ პანკისის ხეობის ქართული სოფლების დაბომბვამ თბილისის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ახალი საფრთხობელა გაუჩინა "იტერას" სახით. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ საქართველოს პარლამენტის ცალკეულ ფრაქციათა კატეგორიული მოთხოვნა, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებამდე, რუსული კომპანიებისთვის საქართველოს სტრატეგიული საწარმოები (მაგალითად, "აზოტი" და "თბილგაზი") არ მიეყიდათ. რადგანაც, ამ ორივე საწარმოს ყიდვა, ამ ეტაპზე, გაცხადებულად მხოლოდ "იტერას" სურს, ცხადი გახდა, რომ აკრძალვა მხოლოდ ამ კომპანიას შეეხო. თუმცა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში "იტერას" სერიოზული მოწინააღმდეგეები მანამდეც ჰყავდა, სანამ პანკისს რუსული თვითმფრინავები დაბომბავდნენ. მაგალითად, ერთობლივი კომპანიის შესაქმნელად დაწყებული მოლაპარაკებების თბილისური რაუნდის წინ "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა ქართულ საზოგადოებას ამცნო მისი პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილება: **"ჩვენ ვაპირებთ ბრძოლას, რათა არ დავუშვათ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმა".** პანკისის მოვლენების შემდეგ, "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" პოზიციას სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც დაუჭირეს მხარი.

ძნელი სათქმელია, შეცვლის თუ არა პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობის სურვილს, რაც შეიძლება, სწრაფად გააფორმოს ხელშეკრულება "იტერასთან", თუმცა, ცხადია, რომ ასეთი განცხადებები "იტერა-ჯორჯიას" ირგვლივ საზოგადოებაში საკმაოდ არასასურველ განწყობას ამყარებს. საქმე ისაა, რომ "იტერასა" და მისი შვილობილი კომპანია "საქგაზის" მიმართ საზოგადოებაში ისედაც უარყოფითი დამოკიდებულებაა და იგი დაკავშირებულია თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში გაზის ხშირ გათიშვებთან, განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში. ამდენად, "იტერას" სახელის დაკავშირებამ პანკისის მოვლენებთან და ზოგადად იმ პოლიტიკასთან, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ახორციელებს, რუსული კომპანიის მიერ საქართველოში საფუძვლიან დამკვიდრებას, შესაძლოა, მცირედი პრობლემები შეუქმნას. თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ აზრს შეუძლია გავლენის მოხდენა მთავრობის საქმიანობაზე და, შესაბამისად, ამ მთავრობის მიერ "იტერასთან" მიმდინარე მოლაპარაკების პროცესზე.

ამას წინათ მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა: **"გაზი გვინდა, მაგრამ რის ფასად?"** იგივე შეიძლება ითქვას "იტერაზეც", ანუ რა შეიძლება დათმოს "იტერამ" და რა – საქართველოს მთავრობამ? თუმცა, ამ კითხვის მეორე ნაწილი საქართველოს საზოგადოებისთვის დღეისათვის ნაკლებად საინტერესოა, რადგან თითქმის სრულადაა ცნობილი, რომელ საწარმოებს უთმობს იგი "იტერას". ამდენად, გასარკვევია, "იტერას", როგორც იტყვიან, პროგრამა მაქსიმუმი და მინიმუმი. ასევე ის, აქვს თუ არა ადგილი კორუფციულ გარიგებებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, "იტერასთან" მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე, ერთობლივ საწარმოში, შესაძლოა, მეწილედ შევიდეს მესამე კომპანია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის ერთ-ერთი შტოს კუთვნილებაა. ამ კომპანიას რამდენიმე წლის წინათ სერიოზული ინტერესი გააჩნდა "აზოტის" მიმართ, რომლის "იტერასთვის" გადაცემის საკითხი მთავრობამ, თავისთვის, უკვე თითქმის გადაწყვიტა. იმავე წყაროს ინფორმაციით, ამავე პერიოდშივე მოსალოდნელია "იტერასთან" მოლაპარაკების დაწყება საქართველოზე გამავალი მაგისტრალური გაზსადენების ერთობლივი ექსპლუატაციის თაობაზე.




### მაგისტრალურ გაზსადენებს "იტერას" არ დავუთმობთ

ორი დღის წინათ მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომელიც შემადგენლობაშიც იყვნენ სახელმწიფო მინისტრის ორი მოადგილე, სათბობ-ენერგეტიკისა და ქონების მართვის მინისტრები. მოსკოვის რაუნდის შედეგით კმაყოფილია დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე. **"ქართულმა მხარემ საკმაოდ ნორმალური და დაბეჯითებული მოთხოვნის შემდეგ, "იტერასთან" მიაღწია უმთავრესს, რომ მას მერე, რაც თბილისში მოხდება ერთობლივი კომპანიის რეგისტრაცია, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დაიწყება ორივე მხარის ქონების შეფასება. მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი ერთობლივი კომპანიისთვის "იტერასა" და საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი გაზგამანაწილებელი საწარმოების გადაცემა",** - განაცხადა გიორგი ისაკაძემ. მისი თქმით, ამავე პერიოდში წარიმართება ქიმიური მრეწველობის საწარმო "აზოტის" "იტერასთვის" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის პროცესი.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ "იტერა-ჯორჯიაში" წილობრივი მონაწილეობა, შესაძლოა, შეიცვალოს მასში სხვა (სავარაუდოდ, უცხოელი) პარტნიორის შემოსვლით. **"ამით დამატებით ინვესტიციებს მოვიზიდავთ",** - აღნიშნა გიორგი ისაკაძემ, თუმცა, მან არ დააკონკრეტა, რომელ კომპანიაზე გაკეთდება არჩევანი. **"ეს, ბუნებრივია, დღეს არსებული მდგომარეობის შეცვლას გამოიწვევს. თუმცა, დღეს მთავარია ერთობლივი საწარმოს დაფუძნება. ნებისმიერი პროცესი ამასთან დაკავშირებით იქნება ღია და გამჭვირვალე",** - პირობა დადო სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ.

მოსკოვის რაუნდის წინ "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ მოლაპარაკების თემატიკა ასე ჩამოაყალიბა: **"სამ საკითხზეა "იტერასთან" საუბარი: ვალების რესტრუქტურიზაცია, ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება და "აზოტთან" შემდგომი ურთიერთობის საკითხი. ერთობლივი საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით ვალდებულებები ორივე მხარემ უნდა დააფიქსიროს. "იტერას" აქტივები საქართველოში ("საქგაზის" სახით) 16 მილიონ დოლარს შეადგენს. მართალია, ვალებისა და ერთობლივი საწარმოს საკითხი ცალ-ცალკე განიხილება, რადგან თუ ვალები "აზოტს" დაუგროვდა, "თბილგაზი" რა შუაშია, მაგრამ განსახილველია, თუ რა კუთხით იქნება ვალები რესტრუქტურიზებული. "იტერას" საწარმოში აქტივები შეაქვს, თუმცა, აქტივების ერთ-ერთი სახეა ვალებიც. "იტერა" პასუხისმგებლობას იღებს, რომ გაზის ყიდვასაც უზრუნველყოფს და არც ტარიფს გაზრდის, თუ ტრანზიტის ფასები არ გაიზარდა."**

**"მოსკოვში მხარეებმა მკაფიოდ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია, რომ არავინ არავის არაფერს ჩუქნის. ჩამოყალიბდება საწარმო, სადაც ერთობლივად განიხილება ყველა საკითხი, მათ შორის ის, თუ როგორ მოვიზიდოთ შეღავათიანი კრედიტები",** - აღნიშნა თამაზ პატარიძემ. მისი თქმით, "იტერას" კატეგორიული მოთხოვნაა, რომ სამეთვალყურეო საბჭოში საქართველოს ქონების მართვის მინისტრი იყოს შეყვანილი.

**"ჩვენი სურვილია, "იტერამ" სრულად იტვირთოს თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია. ამიტომ ჩვენ იგივე შეღავათები უნდა დავუწესოთ "იტერას", რასაც მანამდე "ტაჰალს" ვთავაზობდით",** - განაცხადა დელეგაციის კიდევ ერთმა წევრმა, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. იმის გამო, რომ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ინდივიდუალური შეღავათების დაწესებას, მირცხულავა ერთობლივი საწარმოს სუბსიდირების მექანიზმის შემოღებაზე საუბრობს. მისი თქმით, "იტერამ," "თბილგაზის" სისტემის რეაბილიტაციის გარდა, ხელახალი გამრიცხველიანებაც უნდა განახორციელოს. თბილისში ყოველ აბონენტს დაუმონტაჟდება წინასწარი გადახდის მრიცხველები, რომლის სერიულ წარმოებასაც თბილისის ერთ-ერთი ქარხანა დაიწყებს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ბუნებრივი აირის იმპორტის დაბეგვრის მექანიზმის გადახედვასაც. **"თბილისში გაზის საფასური იმდენივეა, რამდენიც პარიზსა ან მილანში. წარმოუდგენელია, საქართველო-რუსეთის საზღვარზე 1000 კუბური მეტრი გაზი ღირდეს 60 დოლარი, თბილისში კი ვიხდიდეთ 140 დოლარს. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში ტრანსპორტირების თანხა მხოლოდ ხუთი დოლარია. ამდენად, სასურველია გაზის დაბეგვრის მექანიზმის შეცვლაც".**

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრები ცალსახად აცხადებენ, რომ "იტერასთან" არ მიმდინარეობდა და არც მომავალშია მოსალოდნელი მოლაპარაკების წარმართვა საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გადაცემის ან ერთობლივი ექსპლუატაციის განხორციელების თაობაზე. ამასვე ადასტურებს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოგირიძე. მისი თქმით, "იტერას" არ გამოუხატავს ინტერესი მაგისტრალურ გაზსადენებთან დაკავშირებით.

### "იტერა" - საქართველო

ამჟამად, "იტერა" საქართველოს ბაზარზე გაზის სრული მონოპოლისტია. მას ადგილობრივ მომხმარებლებთან ან პირდაპირი კონტრაქტები აქვს გაფორმებული, ან გაზს შვილობილი კომპანია "საქგაზის" მეშვეობით აწვდის. "საქგაზი" ამჟამად საქართველოს 12 გაზგამანაწილებელი კომპანიის მფლობელია. თუ მოხერხდა ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება საქართველოს მთავრობასა და "იტერას" შორის, მაშინ "იტერა-ჯორჯიას" "ქოლგის" ქვეშ ქვეყნის თითქმის ყველა საქალაქო გაზმეურნეობა გაერთიანდება. მათი რიცხვი კი საქართველოში ოთხ ათეულზე მეტია. ამდენად, თუ "იტერასთან" დაწყვილების პროცესმა მთავრობისთვის მშვიდობიანად ჩაიარა, უახლოეს მომავალში "იტერა" საქართველოს ბაზარზე მომუშავე უმსხვილესი კომპანია გახდება და მისი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი იქნება. **"ნურავის ექნება იმედი, რომ "იტერა-ჯორჯია" გაზს უფასოდ მიაწვდის მოსახლეობას. მაკვირვებს გამეფებული წარმოდგენა, თითქოს "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნით ყველა პრობლემა მოიხსნება. არა! გაზის საფასური ყველამ უნდა გადაიხადოს",** - ეს სიტყვები "იტერას" 100 პროცენტით შვილობილი კომპანია "საქგაზის" გენერალურ დირექტორს, ლეონიდ დეიკალოს ეკუთვნის. გარდა ამისა, როდესაც საქართველოში "იტერას" შესახებ საუბრობენ, განსაკუთრებით გამოყოფენ ამ კომპანიის ინტერესების თანხვედრას რუსეთის პოლიტიკურ მიზნებთან საქართველოსთან მიმართებაში. შესაძლოა, ეს დამთხვევაცაა, მაგრამ "იტერას" მიერ საქართველოსთვის გაზის იმპორტის შეწყვეტისა და რუსულ კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის ამ უკანასკნელისთვის ცაიტნოტური მოლაპარაკებების პროცესი, როგორც წესი, რუსეთის მაღალი რანგის პოლიტიკოსთა მკაცრი ანტიქართული განცხადებების თანხლებით მიმდინარეობს.

რამდენად არის მზად საქართველო, მისი ხალხი და ხელისუფლება "იტერასათვის" ასეთი სერიოზული ბერკეტების გადასაცემად? ანდა, რას იღებს ქვეყანა და მისი მთავრობა ამის სანაცვლოდ? რა არის "იტერას" მთავარი ინტერესი საქართველოში? ეს არის მცირედი იმ შეკითხვებს შორის, რომელზე მკაფიო პასუხებიც საქართველოს მთავრობას "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნამდე უნდა გააჩნდეს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# სამხედრო სწავლება "კახეთი – 2002" საზეიმოდ გაიხსნა

პირველი გვერდიდან


პოლიგონის დათვალიერება
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა აგვიხსნა, რომ წვრთნები 112-ე ბატალიონის განლაგების ადგილზე ტარდება. სამხედრო ბანაკის მთელ პერიმეტრზე სანგრები იყო გათხრილი. ასევე თითოეულ კარავს სანგრებით თავდაცვის ზღუდეები ჰქონდა შემოვლებული.

დავით თევზაძის განცხადებით, ჯერჯერობით, მიმდინარეობს მოწყობა, რის შემდეგაც უშუალოდ სწავლება აიღებს სტარტს. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სამხედრო მანევრები დაახლოებით 2-3 დღეში დაიწყება.

სამხედრო-სასწავლო წვრთნას "კახეთი 2002" უხელმძღვანელებენ ეროვნული გვარდიის სარდალი კობა კობალაძე და გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ვლადიმერ იმნაძე. წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ათეული სამხედრო ტექნიკა, ვერტმფრენები და საარტილერიო ნაღმტყორცნები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მცდელობა, გაგვეგო, თუ რა ლეგენდით წარიმართება სწავლება, უშედეგო აღმოჩნდა. სამხედროებს საუბარი ან სხვა თემაზე გადაჰქონდათ ან ირონიულ ღიმილს ამჟღავნებდნენ.

ჟურნალისტების კითხვაზე, განმეორდება თუ არა დაბომბვები და ამ შემთხვევაში რას მოიმოქმედებს ჩვენი არმია, თევზაძემ უპასუხა: **"ასეთი რამ სავარაუდოა. საზღვრის დარღვევის ან დაბომბვის განმეორების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო რაღაცას მოიმოქმედებს."**

პარლამენტარმა გია ბარამიძემ განაცხადა, რომ პარლამენტის პირველივე სხდომაზე აპირებს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის საკითხის დაყენებას. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აღჭურვილობის შეძენა, რაც, სულ მცირე, 24 მლნ ლარი დაჯდება. ბარამიძე დარწმუნებულია, რომ მის წინადადებას მხარს მაშინვე არ დაუჭერენ. აქვე მან აღნიშნა, რომ კოდორის მოვლენების შემდეგ, პარლამენტარებმა პრეზიდენტს გაუგზავნეს აუცილებელი სამხედრო აღჭურვილობის ნუსხა, თუმცა, პრეზიდენტისგან არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა.

კახეთის გუბერნატორმა ბიძინა სონღულაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ის ამ წრთვნებისგან კონკრეტულ სასიკეთო შედეგებს ელის. მისი თქმით, ორი წლის წინ ახმეტის რაიონში ასეთ რამეზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. აქ კრიმინალური ბანდების თარეში იყო.

რაც შეეხება დაბომბვებით დაზარალებულ ოჯახებს, სონღულაშვილმა განაცხადა, რომ მათ დახმარებას თავის თავზე მთლიანად სახელმწიფო აიღებს.

იმ დროს, როცა "კახეთი 2002" დაიწყო, პარალელურად საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილებმა პანკისი ხეობის სოფლები დაიკავეს. პანკისის ხეობა ჟურნალისტებისთვის კვლავ ჩაკეტილი დარჩა.

დაახლოებით ორი საათისთვის სტუმრებმა სამხედრო სწავლების ტერიტორია დატოვეს. აღსანიშნავია, რომ წვრთნების გახსნას აქტიურად აშუქებდა უცხოეთის მასმედია, მათ შორის - რუსული ტელეარხების კორესპონდენტები.

# პანკისის ოპერაციის მორიგი რაუნდი

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი ბოლო ბლოკ-პოსტი პანკისის ხეობის ბოლოს, მთებში, სასაზღვრო ზოლის სიახლოვეს ამუშავდა; ტყის იმ მასივის სიახლოვეს, სადაც, ძალოვანთა ინფორმაციით, შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფებები აფარებენ თავს.

ბლოკ-პოსტებს, შინაგანი ჯარის წარმომადგენლებთან ერთად, პოლიციისა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებიც ამაგრებენ. მათი მოვალეობა მოსახლეობაში ოპერატიული სამუშაოების ჩატარებაა. კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, **"ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველმა ეტაპმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ადგილობრივი მოსახლეობა გზას გვიხსნიდა და გვეხმარებოდა კიდეც. მორიგი ეტაპი დღეს დილით ჩატარდება. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციებს ხეობაში დამალული კრიმინალების შესახებ და რამდენიმე დღეში მათი დაკავების ოპერაციას დავიწყებთ. გუშინდელი და დღევანდელი ეტაპი კრიმინალთა დაკავებისთვის სამზადისი გახლდათ. ერთი სიტყვით, მოწყენისთვის დრო არ გვრჩება."**

ხეობაში ძალოვანთა შესვლას სოფელ დუისის ცენტრში გუშინ ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდების თავყრილობამაც გაუმაგრა ზურგი. ახალგაზრდულმა შეკრებამ მხარი დაუჭირა ანტიტერორისტულ ოპერაციას და მის ხელმძღვანელს, შს მინისტრს, კრიმინალებისგან ხეობის გასუფთავება კატეგორიულად მოსთხოვა.

დღეს დილიდან თელავში დაბანაკებული მთავარი შტაბი პანკისის ხეობას დაათვალიერებს. ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის მესამე რაუნდი დღეს შედგება. იგი კვლავ საგუშაგოების გახსნა-გამაგრებას ისახავს მიზნად.

უცხოეთი

# დასავლეთი შეტევაზე გადადის

პირველი გვერდიდან

**"ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანა ღრმად შეშფოთებულია ცნობებით, რომ დღეს საქართველოზე საჰაერო დაბომბვა განხორციელდა და მწუხარებას გამოთქვამს ადამიანის დაღუპვასთან დაკავშირებით. თავმჯდომარე ქვეყანა აღნიშნავს, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებმა 05:15-დან 06:00 სთ-მდე გირევის ბაზიდან დაინახეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი რამდენიმე საჰაერო ხომალდი... თავმჯდომარე მოუწოდებს ყველას ძალადობის შეწყვეტისა და მომავალში მსგავსი ქმედების გამეორებისაგან თავის შეკავებისაკენ,"** - ნათქვამია 23 აგვისტოს ეუთო-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბოლო დღეებში რუსეთი ძალზე მკაცრად გააკრიტიკა, ოღონდ სხვა მიზეზების გამო, აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმაც. მან რუსეთს **"ტერორისტების მეგობარი სახელმწიფო"** უწოდა და განაცხადა: **"რუსეთში მიაჩნიათ, რომ ტერორისტულ ქვეყნებთან საქმის დაჭერა კარგი საქციელია".**

რამსფელდის თქმით, მოსკოვის მიერ ერაყთან, კუბასთან, ჩრდილოეთ კორეასთან, ლიბიასთან და სირიასთან დამეგობრება პირდაპირ გავლენას იქონიებს რუსეთში უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე.

დასავლეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის ერთ-ერთ მიზანს, სავარაუდოდ, დასავლეთის რეაქციის შემოწმება წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ აშშ-ს მთავრობა მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლა და დიპლომატიურ კონტრშეტევაზე გადავიდა. დასავლეთი რუსეთისაგან ამიერიდან არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტას, არამედ ჩეჩნეთში ძალადობის შეჩერებასაც ითხოვს. **"თუ რუსეთს ტერორიზმთან ბრძოლა სურს,** - ნათქვამია ფლეიშერის განცხადებაში, - **მან ჩეჩნეთშიც უნდა შეწყვიტოს ომი, არათუ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზეც გაავრცელოს იგი. აშკარაა, სწორედ ჩეჩნეთი, და არა პანკისი, წარმოადგენს რეგიონში არასტაბილურობისა და ტერორიზმის გავრცელების წყაროს".**

ამის საპასუხოდ, რუსეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ჩეჩნეთში ომი უკვე დამთავრებულია და იქ მხოლოდ მცირემასშტაბიანი ინციდენტები თუ ხდება.

ამ საკითხზე რუსულ მასმედიას სულ სხვა შეხედულება აქვს. საკმარისია გადავხედოთ პარასკევ საღამოდან კვირა დილამდე მომხდარი შემთხვევების სიას:

შაბათ საღამოს გროზნოში ფუგასურ ნაღმზე აფეთქდა "უაზი". დაიჭრა მილიციის 9 თანამშრომელი. კვირას, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე მოკლული იპოვეს 8 მესაზღვრე, ეძებენ კიდევ ორს. შაბათს ვედენოს რაიონში თავს დაესხნენ "ფედერალების" მანქანას, დაიჭრა სამი ჯარისკაცი. პარასკევს ძველ აჩხოიში აღმოაჩინეს საფლავი, სადაც 5 რუსი ჯარისკაცია დაკრძალული. პარასკევს, საღამოს გროზნოში მოკლეს მილიციელი ილიას ანაევი. შაბათს, დილით გროზნოსთან ახლოს დაცხრილეს რუსეთის სამხედრო ვერტმფრენი, მსხვერპლი არ არის. ამას დაუმატეთ ის ისტერია, რომელიც "გილაევის რაზმის ჩეჩნეთისაკენ მოძრაობასთან" დაკავშირებით ატეხა რუსულმა პრესამ. გარდა ამისა, რეგიონული ოპერატიული შტაბის მონაცემებით, გასული რამდენიმე დღის მანძილზე ფედერალებმა 6 სპეცოპერაცია განახორციელეს და 28 ბოევიკი გაანადგურეს. აშკარაა, რომ "ხერხემალგადატეხილი ბანდის" კვალობაზე, ჩეჩნები საკმაოდ ეფექტურად იბრძვიან.

ერთი სიტყვით, რაკი რუსეთმა, უკვე რვა წელია, ვერ მოახერხა იმ კონფლიქტის მოგვარება, რომელიც რეგიონალურ სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, იგი ან კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებაზე უნდა წავიდეს, ან, როგორც გუშინ იუწყებოდა ჩვენი გაზეთი, ჩეჩნეთში საერთაშორისო სამშვიდობო ჯარების შეყვანაზე დათანხმდეს.

# ჩეჩნები აცხადებენ, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ

პირველი გვერდიდან

რუსული ბომბებისაგან გამოქცეულმა 13-მა ჩეჩენმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადალახა და ამჯერად დიპლომატიური ომის შუაგულში აღმოჩნდა.

ჩეჩნეთის მეორე შტურმის დაწყებიდან სამი წლის თავზე რუსები ჩაბმული არიან "გაძლებისათვის ომში" პატარ-პატარა ჩეჩნურ დაჯგუფებებთან. ჩეჩნებს უკვე აღარ შეუძლიათ, რუსების მასირებული იერიშები შეაჩერონ, მაგრამ, თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის, მზად არიან, რუსებს მაქსიმალურად დიდი ზარალი მიაყენონ.

საზღვარზე დაკავებული 13 მებრძოლიდან 12 თბილისშია და ექსტრადიციის შესახებ საქართველოს გადაწყვეტილებას ელის. მეცამეტე, რუსლანი, ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობს.

ციხესა და საავადმყოფოში გამართული ინტერვიუების დროს, მომეცა იშვითი შანსი, მომესმინა მათთვის, ვინც, მიუხედავად მტრის უდიდესი რიცხობრივი უპირატესობისა, მაინც აგრძელებს ბრძოლას. მათი რისხვიანი სიმამაცე – მათი სურვილი, მიატოვონ საკუთარი ოჯახები და გააგრძელონ თუნდაც უიმედო ბრძოლა – ხაზს უსვამს იმ წინააღმდეგობას, რომლის დაძლევაც მოუწევს რუსეთს.

პარადოქსულია, მაგრამ ომში რუსების მიერ გამოყენებულმა ტაქტიკამ – მასირებულმა საჰაერო დაბომბვებმა, "ზაჩისტკებმა" და ჩეჩნების მიმართ სიძულვილის მუდმივმა დემონსტრირებამ - წინააღმდეგობის მოძრაობას ახალი ძალა შესძინა.

**"ჩვენ ჯარში კომისარიატებს არ გავუწვევივართ,** - ამბობს ერთ-ერთი მებრძოლი, სახელად ადლანი, – **უბრალოდ, შეუძლებელია ნახო, რას სჩადიან რუსები და არ იბრძოლო".**

**"სანამ ცოცხალი ვარ,** – ამბობს ადლანი, – **ათჯერ ვიომებ, იქამდე, სანამ რუსები თავს არ დაგვანებებენ".**

მებრძოლები უარყოფენ, რომ ისინი ჩეჩნეთში შევიდნენ საქართველოდან, რომელსაც რუსეთი მათ მხარდაჭერაში ადანაშაულებს. მათი თქმით, ივლისიდან მოყოლებული, მათი ჯგუფი სამხრეთ ჩეჩნეთის მთიან და უკაცრიელ რაიონებს აფარებდა თავს.

უმრავლესობამ განაცხადა, რომ ისინი წარმოშობით გროზნოდან არიან, თუმცა, საკუთარი სახლები 1999 წლიდან, ომის დაწყების შემდეგ არ უნახავთ. ისინი იძულებულნი არიან, სამხრეთ ჩეჩნეთში დაიმალონ და სოფლებს მოერიდონ, რადგან რუსები კოლაბორაციისთვის ხალხს სასტიკად სჯიან.

ჰუსეინ ხიზრიევი აცხადებს, რომ ბოლო ორი წელია, საკუთარ ბიძასთან ცხოვრობს, რომელიც მეცხვარეა იტუმ-ყალეს მიდამოებში. როგორც კი მეთაურები უბრძანებენ, იგი მზადაა, იარაღი აიღოს ხელში.

იგი ამბობს, რომ სურსათის შესაძენად ბენზინს ყიდის. მებრძოლებს სოფლელები ეხმარებიან, იარაღს კი თავად რუსებისაგან ყიდულობენ.

მართალია, მათ მასირებული შეტევის ორგანიზება აღარ შეუძლიათ, მაგრამ ბრძოლას აგრძელებენ და იქამდე იომებენ, სანამ უკანასკნელი ჩეჩენი მამაკაცი არ მოკვდება, – ამბობს ჰუსეინი.

კერიგოს ხეობაში ბრძოლის დროს მას მუხლი ტყვიით გაუხვრიტეს. იქიდან იგი სამხრეთით გამოიქცა და, ექვს სხვა მებრძოლთან ერთად, 3 აგვისტოს ქართველ მესაზღვრეებს ჩაბარდა. მეორე ჯგუფი მათ ორი დღის შემდეგ შეუერთდა.

ეს ჯგუფი საქართველოს საზღვრის უკანონოდ, იარაღით ხელში გადმოლახვის ბრალდებითაა დაკავებული. ამ დანაშაულისათვის მათ 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ექსტრადიციის შემთხვევაში კი მათი სასჯელი სამუდამო პატიმრობა იქნება ან - უარესი.

ხიზრიევის გარდა, ყველამ ითხოვა მათი გვარების საიდუმლოდ შენახვა. საქართველოს პროკურატურამ მათი ვინაობა რუსეთის მხარეს გადასცა, თუმცა, როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, იგი ეჭვობს, რომ მებრძოლებმა თავიანთი ნამდვილი ვინაობა დამალეს. რამდენიმე მათგანმა განაცხადა, რომ თუ რუსები მათ ვინაობას გაიგებენ, რუსეთში მყოფ მათ ნათესავებზე იძიებენ შურს.

47 წლის ადლანი, რომელიც ჯგუფში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულად ჩანს, ამბობს, რომ მას ხუთი შვილი ჰყავს. მეორე ომის დაწყებისას მან ისინი გროზნოში დამალა და მას შემდეგ არც ერთი აღარ უნახავს.

იგი სერჟანტი იყო საბჭოთა ჯარში. **"ბრძოლა საბჭოთა კავშირმა მასწავლა,"** – ამბობს იგი. როდესაც 1994 წელს ჩეჩნეთში ომი დაიწყო, მას არც კი უფიქრია იმაზე, რომ ბრძოლისათვის თავი აერიდებინა. მას არც 99-ში დაუწყია ყოყმანი.

ჩეჩენი მებრძოლები, როგორც ადლანი და სხვები ამბობენ, სეპარატისტების ლიდერის, ასლან მასხადოვის ბრძანებებს ემორჩილებიან, თუმცა, პატარ-პატარა და ერთმანეთთან არცთუ მჭიდროდ დაკავშირებულ ჯგუფებად იბრძვიან. **"ჩვენ რომ იმ შეიარაღების მეათედი გვქონდეს, რაც რუსებს აქვთ,** – ამბობს ადლანი, – **კრემლს დავბომბავდით და პუტინი თავის ორდენებსა და მედლებს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გასცემდა".**

იგი სხვების მსგავსად აცხადებს, რომ წინააღმდეგობა მუდმივად გაგრძელდება, ჩეჩნები ხომ 400 წელია, კავკასიაში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ იბრძვიან.

**"მათ ყველას მოკვლა ვერ მოახერხეს,** - ამბობს ადლანი კერიგოს ხეობაში მყოფი ჯგუფის შესახებ, - **და ყველას ვერასოდეს ვერ დაგვხოცავენ".**

სამართალი

# დამნაშავე, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია

ინგა ალავიძე

საზოგადოება, შესაძლოა, მალე სკანდალური ფაქტის მომსწრე გახდეს. პატიმარი, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა ელოდა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს განაჩენით, პროკურორის მიერ მოთხოვნილი მკაცრი სასჯელი 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს, შესაძლოა, გამართლდეს.

თემურ მღებრიშვილის "ომონის" ყოფილი წევრი ზაზა ჩუთლაშვილი, უკვე მეშვიდე წელია, ორთაჭალის დახურულ ციხეში – "კრიტში" იხდის სასჯელს. იგი 23 წლის იყო, როცა დააპატიმრეს და უმძიმეს დანაშაულში – ორი ადამიანის მკვლელობაში დასდეს ბრალი.

1995 წლის 29 დეკემბერს ზაზა ჩუთლაშვილს სახლში ეწვივნენ მცხეთის პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები. ისე, რომ მიზეზი არ დაუსახელებიათ, ხელბორკილები დაადეს და მცხეთის პოლიციაში წაიყვანეს. პოლიციაში ყოფნის სამი დღის თავზე დაკავებულმა კოლეგებს აღიარებითი ჩვენება მისცა. **"როცა მცხეთის პოლიციაში, ოთახში შემიყვანეს, ხელბორკილიდან ერთი ხელი გამითავისუფლეს, მეორეთი რადიატორზე მიმაბეს და მკითხეს: სად იყავი 25 ოქტომბერსო. შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გამიჭირდა უცბად პასუხის გაცემა ანდა როგორ გავიხსენებდი, ორი თვის წინანდელ საღამოს რას ვაკეთებდი. ერთ-ერთმა პოლიციელმა სკამი გამომაცალა და იატაკზე დამაგდო, ცალი ხელით ისევ რადიატორზე ვიყავი მიბმული. უმოწყალოდ მცემდნენ ხელკეტებით, წიხლებით. განსაკუთრებით აქტიურობდა პოლიციელი ნიკოლოზ გოგოძე, არადა, ის კაცი იმ დროს გლდანის პოლიციაში მუშაობდა, მაგრამ, თურმე, მოკლული მისი ნათესავი იყო და ამიტომაც აქტიურობდა. დაუნდობლად მცემდა მცხეთის პოლიციის თანამშრომელი ბადრი კაცელაშვილი და სხვები, რომელთა სახეები სიკვდილამდე მემახსოვრება. სადისტურად მაწამებდნენ – ხელკეტებს ჯერ ზურგსა და გვერდებში მირტყამდნენ, შემდეგ - ხელისგულებზე. მერე ბრტყელტუჩათი ფეხის ფრჩხილზე მექაჩებოდნენ, სისხლი რომ წამომივიდოდა, მეორე თითზე გადადიოდნენ, წამება მთელ ღამეს გაგრძელდა. ხანდახან გონებას ვკარგავდი და როგორც კი აზრზე მოვიდოდი, თავიდან იწყებდნენ... მესამე დღეს მანქანით გამიყვანეს ტყეში და დამემუქრნენ, თუ არ იტყვი, რომ ორი ადამიანი მოკალი, აქვე დაგხვრეტთ, შემდეგ ვიტყვით, გაქცევა სცადა და ამიტომ ვესროლეთო. ყოველივე იმის შემდეგ იძულებული გავხდი, დამეწერა ის, რასაც მკარნახობდნენ, მეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩამიდენია",** – ზაზა ჩუთლაშვილმა ეს ჩვენება მას შემდეგ დაწერა, რაც მცხეთის პოლიციას დააღწია თავი და უკვე შვიდი წელია, იმავეს იმეორებს. იგი დღესაც ადასტურებს, რომ იმ ორ ადამიანს, რომლის მკვლელობაც დააბრალეს, საერთოდ არ იცნობდა.

ზაზა ჩუთლაშვილი ჩვენების ჩაბარების შემდეგ ორთაჭალის ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ ციხის მესვეურებმა სასტიკად ნაცემი პატიმარი არ მიიღეს, ამან, შეიძლება, დილამდე ვერ გაატანოსო და შსს-ს მე-5 საპყრობილეში გადააგზავნეს.

ჩუთლაშვილის წამების შესახებ ინფორმაცია დაკავების მეორე დღესვე მიაწოდეს მისმა ოჯახის წევრებმა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს, რომელსაც სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. კომიტეტის ორმა წარმომადგენელმა მცხეთის პოლიციაშივე მოინახულა დაკავებული, ოფიციალურად დაადასტურა ჩუთლაშვილის წამების ფაქტი და შსს-სა და გენერალურ პროკურატურას დაავალა, შეესწავლათ პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზები. ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა ჩუთლაშვილის ადვოკატმაც, მაგრამ არც კომიტეტისა და არც ადვოკატის შუამდგომლობები გამოძიებამ არ დააკმაყოფილა.

მკვლელობა, რომლის გამოც ყოფილი ომონელი გაასამართლეს, 1995 წლის 25 ოქტომბერს, საგურამოს ტყეში მოხდა. მწყემსის ქოხში აღმოაჩინეს ორი გვამი – მწყემსის, ელდარ ჯავახიშვილისა და მისი მეგობრის, თეონა ლეთოდიანისა. საწოლზე მწოლარე ქალს ტყვია თავის არეში ჰქონდა მოხვედრილი, კაცს კი - ერთი ნიკაპში და ერთიც - თავში. საქმე მცხეთის პროკურატურაში აღიძრა და გამოძიება ერთადერთ სამუშაო ვერსიას ამყარებდა. კანონდამცველთა ვარაუდით, მამაკაცმა ჯერ ქალი მოკლა, შემდეგ კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მოგვიანებით, ეს ვერსია შეიცვალა და მკვლელობაში ბრალდებულად მცხეთა-მთიანეთის პროკურატურამ ზაზა ჩუთლაშვილი გამოაცხადა. გამოძიებამ სერიოზული საპროცესო დარღვევით დააკავა და წაუყენა ჩუთლაშვილს ბრალი. ეს ერთი საპროცესო დარღვევაც კი საკმარისია იმისთვის, რომ საქმე დაიშალოს და ხელახალ ძიებას გადაეცეს.

სხვათა შორის, საქმეში ასეთი კურიოზული მასალაც დევს. ჩუთლაშვილის აღიარებითი ჩვენებით, მან მკვლელობა სანადირო თოფით ჩაიდინა. გამოძიებამ ბრალდება სწორედ ამ ჩვენებით გაამყარა, მაგრამ ჩატარებულმა ექსპერტიზამ ჩუთლაშვილის ჩვენების სიმართლე კატეგორიულად გამორიცხა; დაასკვნა, რომ მკვლელობა გადაჭრილი თოფით იყო ჩადენილი.

დარღვევების ჩამოთვლას, რომელიც ჩუთლაშვილის საქმეში არსებობს, ერთი საგაზეთო წერილიც არ ეყოფა. თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ მკვლელობის საქმეზე შედგენილ 3-ტომიან საქმეში, გარდა სერიოზული საპროცესო დარღვევებისა, სხვას ვერაფერს შეხვდებით. საქმეში ერთ არგუმენტირებულ, იურიდიულად გამაგრებულ მტკიცებულებას ვერსად წააწყდებით. ერთი სიტყვით, ეს საქმე არაპროფესიონალიზმის კლასიკური მაგალითია. გამოძიებამ ვიშინსკი-რუდენკოსეული პრინციპებით იხელმძღვანელა. მთავარია, იყოს საქმე, დამნაშავე მოიძებნება, აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია – ამ საბჭოური მეთოდებით შეიქმნა ჩუთლაშვილის საქმე.

უზენაესმა სასამართლომ გამოძიების მიერ შექმნილი მკვლელობის მარტივი მოტივი გაიზიარა. გამოძიების სიუჟეტი ასეთია: ზაზა ჩუთლაშვილმა მისთვის უცნობი ელდარ ჯავახიშვილი 2 ათასი დოლარის გამო მოკლა. ფულის არსებობის შესახებ მან ქუჩაში შემთხვევით გაცნობილი ახალგაზრდისგან, თეა ლეთოდიანის მეგობრისგან შეიტყო, მისგანვე გაიგო მწყემსის ქოხის ადგილსამყოფელი, ჩავიდა საგურამოს ტყეში და ელდარ ჯავახიშვილი და თეონა ლეთოდიანი სიცოცხლეს გამოასალმა.

საბოლოო სიტყვაში ზაზა ჩუთლაშვილმა სასამართლოს განუცხადა: თქვენ იცით, რომ მკვლელობა მე არ ჩამიდენია. არ მომისაჯეთ დახვრეტა იმიტომ, რომ გეშინიათ, ნამდვილი მკვლელი არ გამოჩნდეს.

მთელი შვიდი წლის მანძილზე გასამართლებული ზაზა ჩუთლაშვილი და მისი ადვოკატები საქმის გადასინჯვას ითხოვდნენ. გასული წლის ივლისში ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა საქმის ხელახალი გამოძიება გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას დაავალა. თუმცა, პროკურატურის მიერ წარმოებული ექვსთვიანი გამოძიება უშედეგოდ დასრულდა. გამომძიებლის თხოვნას საგამოძიებო ვადის გაგრძელების შესახებ, გენერალურმა პროკურორმა მოულოდნელად კატეგორიული უარის წერილით უპასუხა. ნუგზარ გაბრიჩიძემ მისი ყოფილი კოლეგის დადგენილება საქმის ხელახალი ძიების შესახებ უარგუმენტო მოტივით გააუქმა და წლების წინ გამოძიებული საქმე უზენაეს სასამართლოს დაუბრუნა. ეს იყო ჩუთლაშვილის საქმეში მომხდარი მორიგი, ახალი იურიდიული კურიოზი. ხელახალი ძიებისას შექმნილი ახალი საქმის ორი ტომი ახლა პროკურატურის სეიფშია გამოკეტილი. თუმცა, ზაზა ჩუთლაშვილის ადვოკატები გენერალური პროკურორის პასუხის გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებენ და დარწმუნებულები არიან, რომ ზაზა ჩუთლაშვილი გამართლდება.

# არასრულწლოვანს მკვლელობის მცდელობისთვის ეძებენ

თამარ კაციტაძე

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა განზრახ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ 17 წლის ირაკლი ენუქიძეს ეძებს, რომელიც დანაშაულის დღეს მამასთან, გია ენუქიძესთან ერთად გაიქცა.

მამა-შვილის ძებნილებად გამოცხადების მიზეზი მეზობელ ქოჩქიანებთან მომხდარი ჩხუბი გახდა, რომელიც ლევან ქოჩქიანის დაჭრით დასრულდა.

ჩხუბის ისტორია კი ასე დაიწყო: დიღმის პირველი მასივის მესამე კვარტალში მცხოვრებ იარაკლი ენუქიძეს თავისსავე ეზოში საზამთროს გამყიდველთან ერთი საზამთროს გამო უბრალო შეკამათება მოუვიდა. გამყიდველისა და არასრულწლოვანის კინკლაობაში ასაკოვანი მეზობელი, ედისონ ქოჩქიანი ჩაერია, რომელმაც ირაკლი ენუქიძეს რამდენჯერმე გაარტყა. როგორც მოწმეები იხსენებენ, ჩხუბში პატარა მეზობელი სიტყვიერ შეურაცხყოფას არ გასცილებია. მცირეწლოვანისგან მოულოდნელი შეკამათება ედისონ ქოჩქიანმა, ეტყობა, მიუტევებელ ცოდვად მიიჩნია და მისთვის ჭკუა რომ ესწავლებინა, შვილს - ზურაბ ქოჩქიანს მოუხმო. პირველი ინციდენტის შემდეგ, რამდენიმე საათში ჩხუბი კვლავ განახლდა. ფიზიკურად უფრო ძლიერი მეზობლებისგან დასაცავად ირაკლი ენუქიძეს მამა, გია ენუქიძე წამოეშველა და ხელჩართული "ბრძოლაც" ცოტა ხანში დასრულდა. ისევ თვითმხილველთა განცხადებით, ჩხუბში ქოჩქიანებს არანაირი დაზიანება არ მიუღიათ, ირაკლი ენუქიძეს კი თავი გაუტყდა.

დაახლოებით საღამოს 11 საათზე დიღომში ოჯახის ღირსების დასაცავად ვაშლიჯვრის დასახლებაში მცხოვრები ძმები - გელა და ლევან ქოჩქიანები მივიდნენ. მეზობლების განმარტებით, ისინი ენუქიძეებს ეძებდნენ, რომლებიც იქვე ჯიხურში იყვნენ. ჯიხურიდან გამოსულ მამაშვილს ძმებმა ცემა დაუწყეს. როგორც ჩხუბის მოწმეები იხსენებენ, ირაკლი ენუქიძე ლევან ქოჩქიანს ეხვეწებოდა, მამაჩემს ნუ ახრჩობო. მოულოდნელად ირაკლი ენუქიძემ მოახერხა ძმებისგან თავის დაღწევა, ჯიხურიდან დანა გამოიტანა და ლევან ქოჩქიანს ზურგის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

ლევან ქოჩქიანს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და იგი ამჟამად თავს კარგად გრძნობს, მამა-შვილი ენუქიძეები კი ჩხუბის შემდეგ არავის უნახავს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ენუქიძეები სასტიკად იყვნენ ნაცემნი. ირაკლი ენუქიძეს კი ჩხუბის შემდეგ ტვინის შერყევაც ჰქონდა მიღებული. მაგრამ მეზობლების შიშით, მამა-შვილი დღემდე მიმალვაში იმყოფება და გამოძიებას ექსპერტიზის ჩატარების საშუალებას არ აძლევს. არადა, არ არის გამორიცხული, რომ ექსპერტიზის შემდეგ და გამოძიებით გამოკვეთილი სხვა მტკიცებულებებით, დღეისათვის განზრახ მკვლელობის მცდელობით აღძრული სისხლის სამართლის საქმე აუცილებელი მოგერიებით გადაკვალიფიცირდეს.

# რუსეთის აგრესიის საპარლამენტო რეზონანსი

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს კონსტიტუციით, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს პარლამენტი განსაზღვრავს. რიგგარეშე სესიის დღევანდელი სხდომაზე კანონმდებელთა კორპუსს ერთობ სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. პარლამენტარებმა უნდა აირჩიონ, რომელ გზას დაადგეს საქართველო რუსეთთან ურთიერთობაში - დახუჭოს თვალი მოსკოვის ღია აგრესიაზე და ჩრდილოელ მეზობელთან "მეგობრული" კავშირები შეინარჩუნოს, თუ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს მკვეთრი ნაბიჯებით უპასუხოს და კონფრონტაციაზე ბოლომდე წავიდეს.

ამ ორი მიდგომის მომხრეებს შორის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გამართული დავა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერები ვერ დააკმაყოფილა დადგენილების იმ პროექტმა, რომელიც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში შემუშავდა. ამ დოკუმენტის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ დიპლომატიური არხებით უნდა მოახერხოს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სამხედრო აგრესიის ფაქტზე, ხოლო პრეზიდენტმა უზრუნველყოს თავდაცვის ძალებისა და უშიშროების ორგანოების კოორდინირებული მუშაობა, აგრეთვე, მიიღოს ზომები არსებული რესურსების მობილიზაციისა და ამ ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

**"ასეთი მიმართვები უკვე განვლილი ეტაპია და მან ქვეყნისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. პარლამენტის დადგენილებაში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ - დაუშვებელია, სამშვიდობო ფუნქციას იმ ქვეყნის ჯარი ასრულებდეს, რომელიც ბომბებს გვიშენს. გარდა ამისა, ცალმხრივი წესით უნდა განვსაზღვროთ რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები, მოსკოვიდან გამოვიწვიოთ ჩვენი ელჩი, დავაყენოთ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხი, დროებით შევაჩეროთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზაცია, მათ შორის, "იტერასთვის" "თბილგაზის" გადაცემა",** - "გაერთიანებული დემოკრატების" სახელით, კრემლთან ურთიერთობაში ვაბანკზე წასვლას ითხოვდა ვასილ მაღლაფერიძე.

"დემოკრატების" რადიკალიზმს მხარს უჭერდნენ "ტრადიციონალისტები", "ნაციონალები" და, ნაწილობრივ, "მრეწველები".

**"თუ რუსებთან მიმართებაში ძველ პოლიტიკას გავაგრძელებთ, მალე თბილისსაც დაბომბავენ. აბა, ერთმილიონიან ესტონეთს გაუბედოს მოსკოვმა ის, რასაც ჩვენთან აკეთებს! ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მეხუთე კოლონაა, რომლის წარმომადგენლებიც ამ დარბაზშიც ბრძანდებიან",** - აცხადებს "ტრადიციონალისტი" გუბაზ სანიკიძე.

ბევრისთვის მოულოდნელად, "რადიკალების" ბანაკში აღმოჩნდა ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი.

**"თოფს ჩვენ ვერ ვისვრით, "ფაგოტი" არა გვაქვს, "რაგატკას" ვერ ვხმარობთ, მხოლოდ ვვიშვიშებთ და ვქოთქოთებთ. დაგვბომბავს რუსეთი, აბა, რას იზამს?!"** - ბობოქრობდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

თუმცა, ბიუროს გუშინდელი სხდომის "მშვენება" მაინც "იტერას" ირგვლივ გაჩაღებული პოლემიკა იყო. ვასილ მაღლაფერიძის დაჟინებულ მოთხოვნას, რომ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევამდე "იტერასთვის" "თბილგაზის" გადაცემაზე მორატორიუმი გამოცხადებულიყო, პროსახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ყველაზე მეტად კი ვახტანგ რჩეულიშვილი აქტიურობდა - დღევანდელ მთავრობას პარლამენტში მასზე აქტიური მხარდამჭერი ნამდვილად არ ჰყავს.

**"იტერასნაირი" ხალხი ადრე რომ შემოსულიყო საქართველოში, დაბომბვები არ იქნებოდა. "იტერას" ნუ ვსახავთ საშინელებად. თავად ვარ იმის მოწმე, ლამის მუხლებზე დაჩოქილი როგორ ეხვეწებოდა ჩვენი სამთავრობო დელეგაცია მოსკოვში "იტერას" ხელმძღვანელობას, "თბილგაზი" ეყიდა",** - საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების რუსეთში ვოიაჟის დეტალებს იხსენებს რჩეულიშვილი. ამასთან, იგი კოლეგებს რუსების მიერ პანკისის ხეობის



*დისკუსია დერეფანშიც გრძელდებოდა*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დაბომბვის ფრიად ორიგინალურ ვერსიასაც სთავაზობს.

რჩეულიშვილის თქმით, "იტერასა" და "გაზპრომის" დაპირისპირებამ საქართველოში გადმოინაცვლა, ამ უკანასკნელის ინტერესების დამცველად კი ვიცე-სპიკერი დავით ბეჟუაშვილს ასახელებს, რომელსაც, თურმე, "დიდი ფული ეცლება ხელიდან".

**"ამიტომაც ისმის გამუდმებით "დემოკრატებისგან", საქართველოში "იტერა" არ შემოვუშვათო. გამორიცხული არ არის, თავისი ფინანსური ინტერესების დასაცავად, პანკისის ინციდენტი მათ მიერ იყოს პროვოცირებული",** - ეჭვებს საჯაროდ გამოთქვამს რჩეულიშვილი.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია - "ეჭვმიტანილმა მხარემ" უცებ აღიარა თავისი "დანაშაული". **"ჩვენ "ავწიეთ" ჰაერში რუსული თვითმფრინავები პანკისის დასაბომბად. ჟვანიამ და სააკაშვილმა "იტერას" გასაგდებად გაწირეს პანკისის ხეობა",** - "გამოტყდა" მაღლაფერიძე.

"იტერასთან" დაკავშირებით, რჩეულიშვილისგან განსხვავებული ვერსია გააჩნია სხვა ვიცე-სპიკერს - გიგი წერეთელს. მისი აზრით, "იტერას" უკან დგას დიდი ჯგუფური ინტერესები. **"მანამდე, ვინც კი მოინდომა "თბილგაზის" შეძენა, "ტაჰალი" იქნებოდა ეს თუ "ეი-ი-ესი", ყველა უკან გაბრუნდა, რადგან დიდი მოთხოვნები და სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს. "იტერას" შემთხვევაში კი ყველაფერი უცებ გადაწყდა",** - აცხადებს წერეთელი.

თავის მხრივ, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძეც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც "ტაჰალთან" ურთიერთობა ბოლომდე გარკვეული არ იყო, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ "იტერას" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები წამოიწყო.

მოდავეთა შორის "გარდამავალი" მდგომარეობა უკავია პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ წინა პლანზე ქვეყნის სარგებლიანობის პრინციპს აყენებს. **"თუ საქართველოს ხელს აძლევს, მაშინ "თბილგაზი" გინდ "იტერამ" იყიდოს, გინდ - პუტინის ადმინისტრაციამ",** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელი.

აზრთა ასეთი პოლარიზაციის გამო, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პარლამენტის დღევანდელი სხდომის დადგენილების პროექტზე მომუშავე ჯგუფი ყველა მხარისთვის მისაღები დოკუმენტის შემუშავებას შეძლებდა. იმ შემთხვევაში კი, თუ კონსესუსის მიღწევა ვერ მოხერხდებოდა, ვასილ მაღლაფერიძე სხდომაზე, ალტერნატივის სახით, თავისი "მაქსიმალისტური" ვარიანტის დაყენებით "იმუქრებოდა". თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამის აუცილებლობა გამოირიცხა - დაპირისპირებული მხარეები საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.

ვინაიდან ბიუროს სხდომის დასკვნითი ნაწილი დაიხურა, ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ წარიმართა "ძალთა დაშორიშორების" პროცესი. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დღევანდელ სხდომაზე პარლამენტი მიიღებს ორ მიმართვას: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი.

რაც შეეხება დადგენილების საბოლოო პროექტს, მასში შევიდა შემდეგი პუნქტები: *რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გატანის ვადების დადგენა; რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეწყვეტა და მოთხოვნა, რომ მათ უმოკლეს ვადებში დატოვონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია; პარლამენტი მიზანშეუწონლად მიიჩნევს დსთ-ში საქართველოს ყოფნას და აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალებს, დაიწყოს შესაბამისი დოკუმენტის დენონსაციის პროცედურა; 2003 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტულ მიმართულებად იქნას აღიარებული ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება.*

**"ყველა ფრაქციამ დაადასტურა, რომ ამ დებულებებს მხარს უჭერს",** - ამბობს მაღლაფერიძე, რომელიც ბოლომდე მაინც არ არის დარწმუნებული, რომ მხარდამჭერები პოზიციას აღარ შეიცვლიან და დღევანდელ სხდომაზე დადგენილების ამ ვარიანტს ხმას მისცემენ.

როგორც ხედავთ, შეთანხმებულ პროექტში აღარ ფიგურირებს მოსკოვიდან საქართველოს ელჩის გამოწვევისა და "იტერას" თემები. მაღლაფერიძის განმარტებით, "იტერას" საკითხი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზაციის შეჩერების საერთო კონტექსტში იქნება განხილული და ამის თაობაზე პარლამენტი ცალკე დადგენილებას მიიღებს.

*თვალსაზრისი*

# მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარი

პირველი გვერდიდან

თავისთავად, შევარდნაძის შემდგომი ლიდერის თემის განხილვა იმ რეალობაში, როდესაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი წელია დარჩენილი, უცნაურად ჟღერს და, შესაძლოა, მიუთითებდეს მოვლენების ხელოვნურად დაჩქარების სურვილსა თუ მოლოდინზე. პოლიტოლოგი სერგეი კარაგანოვი ღიად საუბრობს ამგვარი მოლოდინის შესაბამის სცენარზე: **"სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე სუსტი სახელმწიფოა და უახლოეს მომავალში იქ შეიძლება უმართავ პროცესებსაც ველოდოთ".**

რას შეიძლება ველოდოთ საქართველოში?

▪ ▪ ▪

ზოგადი სქემის ჩარჩოში, უახლოესი სამი წლის განმავლობაში პოლიტიკური პროცესი ორი სცენარით შეიძლება წარიმართოს: საკონსტიტუციო ვადების დაცვით ან დარღვევით.

პირველი გზა ნიშნავს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას 2003 წლის შემოდგომაზე, ხოლო ახალი პრეზიდენტის არჩევას 2005 წლის გაზაფხულზე. მეორე გზა ნიშნავს სახალხო ამბოხს ან რაიმე სხვა დრამატულ მოვლენას (მოვლენათა ჯაჭვს), რომელიც გამოიწვევს პოლიტიკური პროცესის ხელოვნურ დაჩქარებას, შესაბამისად, ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. ვადამდელი არჩევნების დანიშვნა კი ნიშნავს პარლამენტის დაშლას (რაც ანტიკონსტიტუციურია) და პრეზიდენტის გადადგომას იძულებით, საკუთარი ნების წინააღმდეგ.

ამ ორ ძირითად ვერსიას - საკონსტიტუციო ვადების დაცვას ან დარღვევას – პოლიტიკის ქართველი ექსპერტები გასული წლის შემოდგომიდან განიხილავენ. სამოქალაქო სექტორის ავტორიტეტული წარმომადგენლები – ლევან ბერძენიშვილი და გია ნოდია – მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარს ერთმანეთისგან განსხვავებულად ხედავენ და აფასებენ.

ლევან ბერძენიშვილს არაერთ საგაზეთო და სატელევიზიო ინტერვიუში დაუდასტურებია, რომ ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტის პოსტზე 2005 წლამდე ვერ გაძლებს; რომ მოვლენები მეტისმეტად სწრაფად ვითარდება, რაც უსათოდ დააყენებს დღის წესრიგში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს.

სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი გამოაქვეყნა გია ნოდიამ, როდესაც გასული წლის ნოემბრის სახალხო გამოსვლები შეაფასა. მისი აზრით, სახელმწიფოს განვითარების გარანტი შეიძლება იყოს კონსტიტუციის დაცვა და არა ხალხის ნების აღსრულება. თუ ქვეყნის მოსახლეობამ პრეზიდენტი 2005 წლამდე ვადით აირჩია, ესე იგი, საკონსტიტუციო ვადის ამოწურვამდე სახელმწიფოს სწორედ იგი უნდა მართავდეს. არ ივარგებს, თუკი თავის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ხალხი მიადგება და ეტყვის: აღარ მოგვწონხარ და გადადექიო.

▪ ▪ ▪

დღეს მხოლოდ იმ საფრთხეებზე ვისაუბრებთ, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, უახლოესი თვეების განმავლობაში გაჩნდება რეალური პირობები "რევოლუციური" სცენარის ასამოქმედებლად.

არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ედუარდ შევარდნაძე უნდა გადადგეს. ყველას ესმის, რომ ეს უბრალოდ არ მოხდება: უნდა შეიქმნას საგანგებო ვითარება, როდესაც, ერთი მხრივ, ხალხი ქუჩაში გამოვა პრეზიდენტის გადადგომის ლოზუნგით, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური სპექტრი, პირდაპირ ან ირიბად, მხარს დაუჭერს ხალხის მოთხოვნას. ამ ორი პირობის თანხვედრა აუცილებელია, რადგან საინფორმაციო საშუალებები საზოგადოებაზე ზემოქმედების სერიოზულ ბერკეტებს ფლობენ და საკმარისია, პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობამ ქუჩაში გამოსულ ადამიანებს შინ დაბრუნებისკენ მოუწოდოს, რომ სცენარი ჩაიშლება.

დღეს "ხავერდოვანი", "ხორკლიანი," "სტუდენტური", "კლასიკური", "ავანგარდული" ან ნებისმიერი სახის რევოლუციური სცენარის ამოქმედებისთვის საქართველოში საკმარისი მზაობა არ არსებობს. ხალხი უკმაყოფილოა ხელისუფლებით, პოლიტიკური სპექტრი უკმაყოფილოა ხელისუფლებით, საქართველოს მეგობრები უკმაყოფილონი არიან ხელისუფლებით, საქართველოს მტრები, აგრეთვე, უკმაყოფილონი არიან ხელისუფლებით. და მაინც, შევარდნაძის ავტორიტეტი და ძალაუფლება ეყრდნობა ორ ძლიერ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელსაც პრეზიდენტი სთავაზობს საზოგადოებას, მტერს და მოყვარეს: "მე ვარ ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი"; "მე ვარ ქვეყნის პროდასავლური კურსის გარანტი". ეს ორი პოლიტიკური მიმართულება, ჯერჯერობით, უზრუნველყოფს შევარდნაძის ხელისუფლების მდგრადობას.

არ არის შემთხვევითი, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერები სწორედ ამ ორი პოლიტიკური მიმართულების ფარგლებში აკრიტიკებენ ედუარდ შევარდნაძის ყველაზე სერიოზულ ოპონენტებს. მათ საჯარო გამოსვლებში მიხეილ სააკაშვილის მიმართ გაისმის ორი ბრალდება: რომ სააკაშვილს ხელს აძლევს მხოლოდ დესტაბილიზაცია, რადგან სტაბილური განვითარების პირობებში "ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებს ვერ მოიგებს; და რომ სააკაშვილი ფარულად თანამშრომლობს რუსულ ძალებთან. იგივე ადამიანები რუსულ ძალებთან ფარულ თანამშრომლობაში ამხელენ ზურაბ ჟვანიასაც. ეს გააზრებული ტაქტიკაა და მთლიანად აძლევს ხელს ედუარდ შევარდნაძეს: საზოგადოების დიდი ნაწილი ბოლომდე არ ენდობა არც შევარდნაძეს, არც სააკაშვილს და არც ჟვანიას. ამ პირობებში კი "რევოლუციის" მოწყობა მეტისმეტად გაძნელდება.

▪ ▪ ▪

ზემოთ აღწერილი რეალობა სულაც არ ნიშნავს, რომ ის ძალები (ქვეყნის შიგნით ან გარეთ), რომლებიც ედუარდ შევარდნაძის გადადგომაზე სერიოზულად ფიქრობენ, არსებული ვითარებით დაკმაყოფილდებიან და არ შეეცდებიან, პრეზიდენტს ჯერ კიდევ შერჩენილი საყრდენები გამოაცალონ. თეორიული მსჯელობითაც შეიძლება მივხვდეთ, რომ "წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები" განხორციელდება ორი მიმართულებით: საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი უნდა დარწმუნდეს, რომ ედუარდ შევარდნაძე ვერ ფლობს სიტუაციას ქვეყანაში, უსუსურია და, შესაბამისად, ვერც სტაბილურობის გარანტი იქნება; და მეორე: საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი უნდა დარწმუნდეს, რომ თუ ედუარდ შევარდნაძეს გაუჭირდება, იგი უარს არ იტყვის რუსეთთან ქედის მოხრაზე – თავისი პირადი სახელით და, ცხადია, ქვეყნის სახელით. ამიტომ, იგი ვერც პროდასავლური კურსის გარანტი იქნება.

ახლა ვნახოთ, აღმოვაჩენთ თუ ვერა საქართველოში მიმდინარე პროცესებში და ამ პროცესების ექსპერტულ შეფასებებში "წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების" ხელწერას.

▪ ▪ ▪

გახშირებული სამხედრო ინციდენტების ფონზე, ლოგიკურად იბადება შეკითხვა: საქართველოს დაუცველ და მტკივნეულ წერტილებში ერთდროული დარტყმის განხორციელებით, თანაც, დარტყმის ძალის და ინტენსივობის გათვლილი გაზრდით, ხომ არ არის ჩაფიქრებული ორმაგი ეფექტის მიღწევა: ერთი მხრივ, მკაფიო დემონსტრირება, რომ პრეზიდენტი ვითარებას ვერ აკონტროლებს; მეორე მხრივ, შევარდნაძის იძულება, წავიდეს ბოლო წლებისთვის უპრეცედენტო დათმობებზე რუსეთთან? ანუ, ხომ არ ვიმყოფებით სწორედ იმ "წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების" ვითარებაში, რომელიც წინ უნდა უძღოდეს მოვლენების განვითარების "რევოლუციურ" სცენარს?

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კოდორში, შიდა ქართლსა და პანკისში რუსეთის სამხედრო ძალების ქმედება ერთიანი გეგმის სხვადასხვა ნაწილია. ისიც ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი გეგმები პოლიტიკოსების კაბინეტებში იქმნება, სამხედროების კაბინეტებში კი მხოლოდ ზუსტდება.

რუსი სამხედროების ქმედების შედეგი თვალსაჩინოა: დესანტი, გათხრილი სანგრები, დაბომბილი ტერიტორია, მსხვერპლი. ხოლო იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ფიქრობენ რუსი პოლიტიკოსები, ინტერნეტულმა გაზეთმა "სტრანა.რუ"-მ თორმეტ აგვისტოს გამოაქვეყნა ინტერვიუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან - ვლადიმირ ჟარიხინთან. ინტერვიუს თემა ედუარდ შევარდნაძის ამჟამინდელი საქმიანობის ანალიზია. სათაური პირდაპირ გადმოგვცემს მთავარ თეზისს: **"პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოში ერთადერთი "საველე მეთაური" არ არის".** მთელი ინტერვიუს განმავლობაში ვლადიმირ ჟარიხინი ამტკიცებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აკონტროლებს ვითარებას თავის ქვეყანაში და მხოლოდ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ყველა უწყება და ტერიტორიული ერთეული მას ემორჩილება. ციტატა: **"წარმოვიდგინოთ, რომ პატარა ბიჭი გზაჯვარედინზე დგას და შუქნიშანს შესცქერის. ხედავს, ფერები იცვლება და მანქანებიც ჩერდებიან, ან სვლას აგრძელებენ. ბიჭუნა, თავის წარმოდგენაში, შუქნიშნის ფუნქციის შესრულებას იწყებს. მალე იგი საკუთარ თავს მოძრაობის მომწესრიგებლად წარმოიდგენს და დარწმუნებულია, რომ სხვებიც მას მიაწერენ მანქანების მწყობრ მიმოსვლას. სინამდვილეში კი, მოძრაობის მომწესრიგებელი, ცხადია, შუქნიშანია. იმ პატარა ბიჭის მსგავსად, შევარდნაძე განასახიერებს, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესს მართავს; სინამდვილეში კი პროცესი მის გარეშე იმართება."**

თუ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას შევაჯამებთ, გამოვა, რომ რუსი პოლიტოლოგები აცხადებენ, რუსი სამხედროები კი თვალნათლივ ადასტურებენ, რომ ედუარდ შევარდნაძე, როგორც პრეზიდენტი, თავის ქვეყანაში პროცესებს ვერ მართავს. შუქნიშანთან ჩაფიქრებული ბიჭუნა მწარედ გაგვახსენდება, თუ შევადარებთ პრეზიდენტის და თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგობრივ გამონათქვამებს იმასთან დაკავშირებით, - შეუძლია თუ არა ხელისუფლებას, ჩამოაგდოს უცხო ქვეყნის თვითმფრინავი, რომელიც მის მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავს. პრეზიდენტს ჰგონია, რომ შეუძლია; თავდაცვის მინისტრს ჰგონია, რომ არ შეუძლია; ფაქტია, რომ თვითმფრინავი არ ვარდება...

▪ ▪ ▪

თუ უახლოესი მომავლის მოვლენები იმ ნიშნით წარიმართება, რომ კიდევ უფრო მკაფიოდ დაარწმუნებს საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს არსებული ხელისუფლების უსუსურობაში, შევარდნაძის გადადგომის მსურველებს ამოცანის ერთი ნაწილი შეიძლება, შესრულებულად ჩავუთვალოთ. ყოველ შემთხვევაში, ამ მიმართულებით პოლიტიკური განცხადებებიც გაკეთდა და კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. შედეგად, ბუნებრივად გაჩნდა აზრი, რომ დაბომბილი, დესანტგადმოსხმული და სანგრებგათხრილი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ პროცესებს მართავს, ქვეყნის სტაბილურობის გარანტი ვერ იქნება. პირველი ტოტი თითქმის მოჭრილია. "წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები" არცთუ წარუმატებლად მიმდინარეობს.

რჩება მეორე მიმართულება: ედუარდ შევარდნაძის არნახული დათმობები რუსეთის მიმართ. აქ კი დროა, გავიხსენოთ ის მოვლენები, რომლებიც "ელექტროკავშირთან" და, განსაკუთრებით, "თბილგაზთან" დაკავშირებით ვითარდება – ორივე სტრატეგიული ობიექტი, მარტივად თუ ვიტყვით, რუსეთის ხელში გადადის. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე – გიორგი კარბელაშვილი – სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში შეკრებილ კოლეგებს სასოწარკვეთილი ეკითხებოდა: რას ჩავდივართ, კავშირგაბმულობა ხომ ქვეყნის უსაფრთხოებასთან პირდაპირ არის მიბმულიო?! რაც შეეხება "თბილგაზს", მისი "იტერასთან" დაძმობილებით, საქართველოს თითოეული ოჯახის ბუნებრივი აირით და, შესაბამისად, ელექტროენერგიით მომარაგება მთლიანად გადადის რუსეთის ხელში.

ერთი მხრივ, პრეზიდენტი იძულებულია, დაუთმოს "იტერას" იმისათვის, რომ ზამთარში ქვეყნის მოსახლეობა გათბეს და განათდეს – ესე იგი, ქუჩაში არ გამოვიდეს; მეორე მხრივ, სტრატეგიული ბერკეტების რუსეთისთვის გადაცემით, ედუარდ შევარდნაძე ნებაყოფლობით იჭრის იმ მეორე ტოტსაც, რომელსაც მისი განლეული ავტორიტეტი ეფუძნება, ანუ - დასავლური ორიენტაციის ბურჯის იმიჯს.

თუ უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტი იძულებული გახდა, რომ კიდევ რამე დაუთმოს რუსეთს, შემდეგ კი რუსეთის პრეზიდენტს ხელდამშვენებული ეახლოს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის მსურველებმა "წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები" სრულად და წარმატებით შეასრულეს.

▪ ▪ ▪

რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? - პასუხი მარტივია: ორივე ფაქტი – ამჟამინდელი ხელისუფლების უსუსურობა და შევარდნაძის უპრეცედენტო დათმობები რუსეთის მიმართ – უნდა დაადასტუროს განვითარებულმა მოვლენებმა და დაასაბუთოს პოლიტიკურმა სპექტრმა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი ხალხის ქუჩაში გამოყვანაზე.

რა ხდება ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში? პოლიტიკური ძალების შეთანხმებით, საგანგებოდ მოწვეულმა პარლამენტმა უნდა იმსჯელოს ორ საკითხზე: ბოლოდროინდელ სამხედრო ინციდენტებზე და "იტერას" ინტერესების დაბლოკვაზე. გამოდის, პოლიტიკური სპექტრი იმდენად აღშფოთებულია ხელისუფლების უსუსურობით და შევარდნაძის უპრეცედენტო დათმობებით რუსეთის მიმართ, რომ საპარლამენტო შემადგენლობა სექტემბრამდე ველარ ითმენს და საგანგებოდ იკრიბება!

ის ლიდერებიც კი, რომლებიც ორი კვირის წინ აცხადებდნენ, რომ საკონსტიტუციო ვადების დაცვა ქვეყნის უმთავრესი ამოცანაა, შესაძლოა, სწრაფი ტემპით განვითარებული მოვლენების ფონზე, მეამბოხეთა რიგებში აღმოჩნდნენ.

▪ ▪ ▪

თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, რევოლუციური სცენარისთვის, რომლის განხორციელების ობიექტური მზაობა საქართველოში არ არსებობს, ნიადაგი ყველა ძირითადი მიმართულებით მზადდება. ჯერჯერობით, გადადგმულია პირველი ნაბიჯები, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგი ნაბიჯებიც უსათუოდ გადაიდგმება. რას დაუპირისპირებს საქართველოს ხელისუფლება მოვლენების მისთვის არასასურველი კალაპოტით განვითარებას – სრულიად ბუნდოვანია. სამაგიეროდ, ცნობილია, რას უპირისპირებს ამჟამად: მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულებას კორუფციაში და მთავრობის სხდომაზე იუსტიციის ყოფილი მინისტრის შედარებას მხატვრულ პერსონაჟთან, რომელიც, თურმე, "მთიელი ხალხის სისხლს სვამდა".

მიხეილ სააკაშვილის გამოცხადება კორუმპირებულად და "სისხლის მსმელად" ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ დაძრულ ზვავს - ვისთვის სამწუხაროდ და ვისთვის საბედნიეროდ - ნამდვილად ვერ შეაჩერებს.

▪ ▪ ▪

სავსებით შესაძლებელია, რომ საფრთხეთა ის ნაკადი, რომელიც ამ სტატიაშია აღწერილი, ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდეს. ჩავთვალოთ, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია და დავაკვირდეთ მოვლენების განვითარებას.

თუ პროცესები ისე წარიმართება, რომ საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო და უფრო მეტჯერ აღმოჩნდება უსუსურ მდგომარეობაში; თუ პრეზიდენტს მართლაც მოუხდება კრემლში ხელდამშვენებულს ჩასვლა; თუ არა მხოლოდ რადიკალური, არამედ ზომიერი პოლიტიკური გემოვნების მქონე ლიდერებიც გაახშირებენ და გაამძაფრებენ პროტესტს ხელისუფლების უსუსურობის და რუსეთის მიმართ დათმობების კონტექსტში, მაშინ, უნდა ველოდოთ, რომ სახალხო გამოსვლები, როგორც ამ ერთიანი პროცესის დამასრულებელი ეტაპი – გარდუვალად წინ გვიძევს.

ხოლო თუ რუსეთის მხრიდან (ერთ მშვენიერ დღეს!) წნეხი მოიხსნება, სამშვიდობოებიც საკუთარ "ჩარჩოში" მოთავსდებიან და რუსული თვითმფრინავებიც "თავისიანის" და "სხვისიანის" გარჩევას ისწავლიან, თუ "იტერაც" სახლში წავა და "ელექტროკავშირიც" ჩვენ დაგვრჩება, მაშინ შეგვიძლია, ზაფხულის მძიმე სიზმრიდან ერთბაშად გამოვიღვიძოთ და საკონსტიტუციო ვადების შესრულებაზე გულმშვიდად ვიზრუნოთ

www.24hours.ge 24 B

# დატბორილი ევროპული კულტურა

## დრეზდენის გალერეაში ყველა ნახატი გადაარჩინეს



დატბორილი ოპერა



სტიქიას ვერც ცვინგერის სასახლე გადაურჩა

ნანა ბასილაშვილი
თამარ ბაბუაძე

**რამდენიმე დღეა, ევროპას აღარ აწვიმს. თუმცა, დასველებული, დატბორილი და ნანერვიულები ევროპული კულტურა ჯერაც არ გამშრალა. წყალდიდობამ, რომლის მსგავსიც ევროპას დიდი ხანია, არ უნახავს, პირველ რიგში, ხელოვნების ნიმუშებს ავნო. მხოლოდ ექვსი კვირის შემდეგ შეძლებს მუშაობის გაგრძელებას დრეზდენის ცნობილი ცემპერ-ოპერა. ეს დრო დასჭირდება შენობის გაშრობას, გამაგრებასა და ასევე ცვინგერის სასახლისა და სურათების გალერეის რესტავრაციას**.

წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი ნელ-ნელა ვლინდება. გერმანულმა კულტურამ აღმოსავლეთ გერმანიაში სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალის აღწერა დაიწყო. წყალდიდობის შედეგად ძირითადად დაზიანდა ისეთი კულტურული ცენტრები, როგორიცაა დრეზდენი, მეისენი და დესაუ.

არსებული მონაცემების მიხედვით, ცნობილი ცემპერ-ოპერა ახალ სეზონს აღდგენითი სამუშაოებით შეხვდება. წარმოდგენები იქ მხოლოდ ექვსი-რვა კვირის შემდეგ განახლდება. ზოგიერთები უფრო დიდ ვადასაც ასახელებენ, თუმცა, ოპერის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ახალი სეზონისთვის მომზადებას ორიოდე თვეში შეძლებენ. თეატრში უნდა შეიცვალოს სცენის თითქმის მთლიანი ინფრასტრუქტურა, სავენტილაციო სისტემა, ტელეფონის ხაზები და ა.შ. დაზიანებულია თეატრალური კოსტუმების მდიდარი კოლექციაც. ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მაყურებლისთვის დაახლოებით 150 ათასი ბილეთის საფასური აენაზღაურებინა – სპექტაკლები ხომ გაურკვეველი ვადით გადაიდო. ცემპერის მენეჯერის როლანდ ბენეკის ვარაუდით, სანამ ოპერა დახურული იქნება, ის ყოველკვირეულად 500 ათას ევროს იზარალებს. ეს ციფრი ემატება ისედაც დიდ თანხას, რომელიც კოსტუმების, ინსტრუმენტების, სცენის და მთლიანად შენობის აღდგენისთვისაა საჭირო. "ლაიპციგში გასაშრობად და აღსადგენად ნივთები ორი სატვირთო მანქანით გავაგზავნეთ. ორკესტრმა არნახული ზარალი ნახა – დაზიანდა სტეინვეის ორი როიალიც", - აცხადებს ბენეკი.

თუმცა, დაზიანებული ნივთები და ჩაშლილი საოპერო ცხოვრებაც რომ გვერდზე გადავდოთ, დრეზდენი კიდევ დიდ ხანს ვერ მოიშუშებს მთავარ ჭრილობას – ცემპერის ოპერა ხომ, პირველ რიგში, არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში გახლავთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ შენობას არ უმართლებს. მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებული ზიანის შემდეგ ის პირველად ოციოდე წლის წინ, 1985 წელს გაიხსნა. ახლა კი საშინელი წყალდიდობის მოწმე გახდა.

დრეზდენის მოქალაქეს, 92 წლის ჰანდ ნადლერს კი ცვინგერის სასახლეზე წყდება გული. "მინახავს ფოტოები, რომელზეც 1896 წელს დატბორილი ცვინგერია აღბეჭდილი, მაგრამ რაც ამ წყალდიდობის დროს ვნახე, ყველანაირ შთაბეჭდილებას გადააჭარბა", - იხსენებს ის. ალბათ, სწორედ გერმანელების სოლიდარობის საუკეთესო მაგალითია ისიც, რომ ეს 92 წლის, ინვალიდის სკამით მოსიარულე კაცი სასახლის ევაკუაციაში მაშველთა ჯგუფს ეხმარებოდა...

ქალაქის ხელოვნების კოლექციების გენერალური დირექტორი, მარტინ როტი იგონებს: "ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ქვედა სართულებიდან ხელოვნების ნიმუშების ამოტანა თითქმის ბოლო წუთებში დავიწყეთ. სარდაფებში, მუხლამდე წყალში, ხელში შანდლებით დავდიოდით და ერთმანეთს ნივთებს ვაწვდიდით. სარდაფები მთლიანად განადგურებულია. მათ აღდგენას დიდი დრო დასჭირდება".

დაზარალებულთა სიაში მოხვდა ოპერის გვერდით მდებარე სახელმწიფო თეატრიც. გენერალური მენეჯერის, ჰოლკ ფრეიტაგის განმარტებით, თეატრს წყალდიდობამ "კატასტროფული ზიანი მიაყენა". თუმცა, სახელმწიფო თეატრს მაინც გაუმართლა. მართალია, თითქმის თავიდან არის დასამონტაჟებელი ელექტრო, ხმის და შუქის სისტემები, მაგრამ სამაგიეროდ წყალმა ვერ შეაღწია დარბაზებამდე. "ეს რომ მომხდარიყო, მაშინ მუშაობის განახლებას მთელი სეზონის განმავლობაში ვერ შევძლებდით", - აცხადებს ფრეიტაგი. მისივე ცნობით, თეატრის ზარალი 10 მილიონ ევროს შეადგენს. ამჟერად მიმდინარეობს წყლის გამოტუმბვის ოპერაციები.

უმნიშვნელოდ დაზიანდა ფრაუენკირხში მშენებარე ეკლესიაც, აქ წყალი სარდაფის, ე.წ. "ქვედა ეკლესიის" ზევით არ ამოსულა. ტაძარში მშენებლობა ორ კვირაში განახლდება. უახლოეს კვირას კი სამადლობელო მესას აღავლენენ.

ქვეყნის დასავლეთში გახიზვნამ გერმანიაში არნახული სოლიდარობა გამოიწვია. ყველა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს – რა თქმა უნდა, მათ შორის არიან ხელოვანებიც. 18 აგვისტოს ლაიპციგში, გამოჩენილი დირიჟორის, ლაიპციგის გევანდჰაუზის ორკესტრის ხელმძღვანელის კურტ მაზურის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი უნდა გამართულიყო. მაზურმა კონცერტი გადადო და განაცხადა: "არ შემიძლია, ვიზეიმო ჩემი დაბადების დღე საყოველთაო მწუხარების ფონზე." საიუბილეო კონცერტის ნაცვლად იგი 26 აგვისტოს ბენეფის-კონცერტს გამართავს. კონცერტიდან შემოსულ მთლიან თანხას კი წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა ფონდში გადარიცხავს.

სტიქიური უბედურების შედეგად სერიოზულად დაზიანებულ შენობებში შედის ცენტრალური არქივები - ქალაქების, სოფლებისა და ეკლესიების. დოკუმენტები ძირითადად შენობისა და ტაძრების სარდაფებში ინახებოდა. ადიდებული წყლის პირველი მსხვერპლი სწორედ ისინი გახდნენ. არქივების კედლების სისველე ასობით კუბამეტრს მოიცავს. პრობლემის გადასაწყვეტად სპეციალური კომისია შეიქმნა. ამ ეტაპზე კი ექსპერტები ძალზე უბრალო ხერხს მიმართავენ – უნდა გაიყინოს ყველა სველი ქაღალდი, ეს კონსერვაციისათვის ყველაზე ეფექტური და იოლი საშუალებაა.

შედარებით იოლად გადარჩა პრაღა. იქ წინასწარვე იცოდნენ, რომ წყალდიდობა არ ასცდებოდათ და მუზეუმების ქვედა სართულებიდან ხელოვნების ნიმუშები და ისტორიული დოკუმენტები სასწრაფოდ გახიზნეს. არსებობდა საფრთხე, რომ დაინგრეოდა 1881 წელს აშენებული ნაციონალური თეატრი – ჩეხური რენესანსის სიმბოლო. ამ საფრთხის მთავარი მიზეზი დატბორილი სარდაფები გახლდათ და ასევე ის ფაქტი, რომ თეატრი მდინარის სანაპიროზეა აგებული, სადაც ნიადაგი არც ისე მყარია. თუმცა, შენობა გადარჩა. გადარჩა ნაციონალური ბიბლიოთეკაც თავისი უმდიდრესი კოლექციებით, რომლებიც ზედა სართულებზე გახიზნეს. თუმცა, მნიშვნელოვნად დაზიანდა მეოცე საუკუნის ქანდაკებები, ისინი ზბრასლავის სასახლის სარდაფში ინახებოდა.

პირველადი სამუშაოების ჩასატარებლად გერმანიის მთავრობამ სამი მილიარდი ევრო გამოჰყო. გერმანელების გმირული ენთუზიაზმის წყალობით, მუზეუმის ყველა კულტრული ფასეულობების ევაკუაცია დროულად მოხერხდა. გადარჩა დრეზდენის გალერეის ყველა ნახატიც. ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ დრეზდენის მუზეუმების სარდაფებისა და დანარჩენი ინფრასტრუქტურის აღსადგენად 59 მილიონი დოლარი იქნება საჭირო. მთლიანად გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში აღდგენით სამუშაოებზე კი დაახლოებით 19.4 მილიარდი დოლარი დაიხარჯება.

# ლამაზია გურჯი ქალი

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ქართველებს სახელმოხვეჭილი თანამემამულეების რეალური რაოდენობა რატომღაც არ გვაკმაყოფილებს და სულ იმის მტკიცებაში ვართ, რომ წმინდა ნინო ქართველია, პეტრე პირველი ბაგრატიონია, გრეგორი პეკის ბებია ნიჟარაძე იყო და კიდევ ვიღაცა ფარცხანაყანებიდანაა წარმოშობით... ამ შემთხვევაში კი გამოგონება არ დაგვჭირდება: პანამის ტელევიზიის ვარსკვლავი დეკა ჯორბენაძე თბილისელი გახლავთ და ძალიან კმაყოფილია თავისი წარმოშობით.*



დეკა ჯორბენაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რვა წლის წინათ გოგონა საცხოვრებლად დედის სამშობლოში გაემგზავრა. ახლა კი პანამის ჩვიდმეტი წლის მოქალაქემ, დეკა ჯორბენაძემ, გზის ფული გააკეთა და პირველად ჩამოვიდა ბებიასთან სტუმრად. მარტო წამოვიდა, ორი დღე იყო გზაში. შორია, თან ძვირადღირებული სიამოვნებაა, მაგრამ ბებია მოენატრა, ძალიან უყვარს - დეკაც იმიტომ ჰქვია, რომ პატარაობაში ბებია ეძახდა ასე. ბებია უკვე ტირის, რომ სულ მალე საამაყო შვილიშვილი მშობლებთან გაფრინდება.

დეკას კარგად ახსოვს თბილისი – ლაღიძის სახაჭაპურე, ქვემოთ რომ ჩადიხარ და ბევრი ხალხი რომაა (ახლა აღარაა) და კვერცხიანი ხაჭაპური რომ იყიდება; ბალეტის მასწავლებელი ლოლიტა; ის, რომ ცხელა – პანამაში სულ ცხელა, მაგრამ აქ რაღაც განსაკუთრებულად; და, რაც მთავარია, მეგობრები – ახლა კი თბილისში არ არიან, მაგრამ მაინც. ჯერჯერობით ქალაქში იქნება, მერე სოფელში წავა, ბოლოს კი – ზღვაზე.

დეკას არსებობის ამბავი ისედაც ვიცოდი. მისი მშობლები – ქართველი ლევანი და მშვენიერი პანამელი ირაიდა (რომელიც ფარულად და უიმედოდ ჩემს უამრავ ნაცნობს უყვარდა) წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ თბილისში და ყველამ ვიცოდით, რომ მათ არნახულად ლამაზი ქალიშვილი ჰყავთ. ახლა კი, გასაცნობად მისვლამდე, მიამბეს, რომ პამელა ანდერსონი, ათასგზის ჩატარებული კაპიტალური რემონტის შემდეგაც, ახლოს ვერ მივა მასთან, რომ დეკა შესანიშნავად ცეკვავს, ისეთი ღიმილი აქვს, წაიქცევიო, და სხვა და სხვა. ასეთი რეკომენდაციების შემდეგ ცოტა დაზაფრული გავეშურე სტუმრად – მოგეხსენებათ, სილამაზე დიდი ძალაა და დაბნევა იცის.

ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როცა კარი გაალეს, გოგონა შემოგვეგება და გადაგვკოცნა. ისე მხიარულად და ბუნებრივად, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი ვყოფილიყავი. მართლაც ძალიან ლამაზია, ნაკლი ვერაფერი შევნიშნე. ამას დაურთეთ ბრჭყვიალა თვალები და ისეთი ღიმილი, ყველაზე საძაგელ პესიმისტსაც რომ სიცოცხლეს შეაყვარებს.

დეკა ქართულ-რუსულ-ინგლისურ-ესპანურად გვესაუბრებოდა: "ქართული და რუსული ვიცი, ესპანური კარგად ვიცი." თუმცა, ჩემი ესპანური buenos dias-ს ვერ ცდება, კომუნიკაციის პრობლემა არ გაჩენილა – ძალიან არტისტულია და საუკეთესოდ გაგებინებთ ყველაფერს.

მისი სატელევიზიო კარიერა ხუთიოდე წლის წინათ დაიწყო – ქუჩაში მეგობარმა მისი თავი აგენტს დაანახა და დეკა უმალვე მიიწვიეს სარეკლამო კლიპში გადასაღებად. მას მერე მისი სახე ეკრანიდან არ ჩამოსულა. უკვე მთელი პანამა იცნობს ტელესერიალის, 100% Pritty-ს წყალობით. დეკა, ფაქტობრივად, ტელემაყურებლების თვალწინ გაიზარდა: სერიალი, უკვე მეოთხე წელია, მისი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს – როგორ სწავლობს, როგორ ერთობა მეგობრებთან, როგორია მისი ყოფა "დედიკოს და მამიკოს" (ასე უწოდებს მათ დეკა) სახლში. ეს სერიალი მრავალი ნაწილისაგან შედგება, ახლა Colegiales გადის. რეჟისორს საქართველოშიც უნდოდა ჩამოსვლა, იმის გადასაღებად, თუ როგორ შეხვდა დეკა მრავალი წლის უნახავ ბებიას, მაგრამ, როგორც ჩანს, მანძილმა დააფრთხო.

გარდა ამისა, დეკა ჯორბენაძეს საავტორო ტელეგადაცემაცა აქვს, Karl@online, რომელშიც მოზარდების პრობლემებზეა საუბარი. "მოდის კითხვა: ასეთი პრობლემაა, რა ვქნა. მე ვეუბნები, რომ არაა პრობლემა, და ვეუბნები, რატომ არაა პრობლემა."

ჩვენი გმირი ძალიან დაკავებული ადამიანია, გადაღებების გარდა, სკოლაში სწავლობს და დროებით სამუშაოზეც არ ამბობს ხოლმე უარს. "მე მინდა ბევრი ბიზნესი," - გაიცინა დეკამ. ძალიან მომხიბვლელი ღიმილი აქვს.

პირად ცხოვრებაზე ნაკლებად ფიქრობს, როგორც ჩანს, არ აღელვებს ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ყველაზე სასურველი გოგონაა, ზღაპრული პრინცესა. არც მეგობარი ბიჭი ჰყავს – სხვა თუ არაფერი, "მამა ამბობს, რომ არა". მიამბო, რომ არაფერს სვამს, არ ეწევა, ვარჯიშობს, ცეკვა უყვარს. თბილისშიც წასულა დისკოტეკაზე, ოღონდ გულდაწყვეტილმა აღნიშნა, რომ არავინ განძრეულა, მარტო მას და მის მეგობრებს უცეკვიათ.

დეკამ უკვე იცის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ესპანეთში გაემგზავრება სასწავლებლად: "იქ კარგი უნივერსიტეტია და კარგი ტელეჟურნალისტი გავხდები". ისე, ძალიან უნდა, რომ თბილისშიც რამე გააკეთოს. გამოცდილება ხომ უკვე აქვს, იქნებ მისი ცოდნა სხვებსაც გამოადგეთ, საქართველო ხომ, ბოლოსდაბოლოს, მისი სამშობლოა...

სექტემბრამდე კი არდადეგებია. დეკა ბებიასთან ცხოვრობს, ქალაქში სეირნობს, მთაწმინდაზე დადის და გემრიელად შეექცევა ქართულ, მონატრებულ კერძებს – პანამაში არ ახარებენ, გასუქდებიო, ჰოდა, ახლა დრო იხელთა. ვფიქრობ, მშვიდად შეუძლია აკეთოს, რაც გაუხარდება – ლამაზ ქალს ყველაფერი უხდება.

# გოეთეს სურათების გალერეა



გოეთეს მუზეუმი ვაიმარში

ნატო თოთლაძე

დღეიდან ვაიმარის სასახლეში 130 ნახატის ხილვა შეიძლება, რომლებიც ამ პატარა ქალაქში გახსნილ პირველ საჯარო მუზეუმში 1825-1837 წლებში იყო გამოფენილი. როგორც მუზეუმის დირექტორმა, რალფ ბოთემ განაცხადა, გამოფენა "გოეთეს სურათების გალერეა", რომელიც 2003 წლის იანვრამდე გაგრძელდება, სასახლის მუზეუმის "პირველი ნაბიჯების ჩვენებას ისახავს მიზნად." სურათების გალერეა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს და მისი ხელოვნების მრჩევლის, იოჰან ჰაინრიხ მაიერის მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგი იყო; მათ სურდათ, რამ სახვითი ხელოვნება ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ცენტრალური ადგილი იოჰან იოახიმ ვინკელმანის პორტრეტს უკავია – მისმა სწავლებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ვაიმარელ ხელოვნების მოყვარულთა საქმიანობაზე. კოლექციაში წარმოდგენილია იტალიელი დიდოსტატების, რაფაელისა და კარავაჯოს შედევრების ასლები, ასევე ჯიოვანი დომენიკო ტიეპოლოსა და გრაფ პიეტრო როტარის ორიგინალები. გალერეის მშვენება ალბრეხტ დიურერისა და ლუკას კრანახის ნახატებია. უაღრესად საინტერესოა მე-17 საუკუნის ნიდერლანდელ ოსტატთა განყოფილებაც.

130 სურათის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა, დღევანდელი მუზეუმის დამთვალიერებლისათვის ჩინებული, მაგრამ მაინც ასლებისა და ფასდაუდებელი ორიგინალების, ძველი და ახალი ოსტატების "აღრევა" უცნაური სანახაობაა, ვენდოთ გოეთეს და მაიერს: მათ, ალბათ, უკეთ იცოდნენ, რა სჭირდებოდა იმდროინდელ საზოგადოებას. გულდასაწყვეტი ისაა მხოლოდ, რომ 1837 წელს მუზეუმის დროებით დახურვის შემდეგ მრავალი ნამუშევარი უკვალოდ გაქრა და სრულ შთაბეჭდილებას მაინც ვერ შევიქმნით "კლასიკოსთა ქალაქის" სურათების გალერეის შესახებ.

## 15 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებული წიგნი ყველასათვის

ვინც კი ინტერნეტით სარგებლობს, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ახლა უკვე შეუძლია შუასაუკუნეების დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უძვირფასეს წიგნს გაეცნოს. ახალი ტექნოლოგიური ქსელების საშუალებით 800-წლიანი ეგრეთწოდებული შერბონული ლოცვანი, რომელიც 15 მლნ. ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული, ნებისმიერი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. შერბონული ლოცვანი პირველი წიგნია, რომელიც ინტერნეტში ახალი ტექნოლოგიითაა წარმოდგენილი, რისი საშუალებითაც წიგნის გვერდების გადაფურცვლაა შესაძლებელი. აქამდე ეს ტექსტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბრიტანულ ბიბლიოთეკაში, რომელიც ლონდონში მდებარეობს. ვირტუალურ ბიბლიოთეკაში ასევე წარმოდგენილია რამოდენიმე სხვა ნამუშევრის ასლებიც, მათ შორის VII საუკუნის Lindisfarne-ეს სახარება და ლეონარდო და ვინჩის უბის წიგნაკი. შერბონული ლოცვანი დაწერილია XV საუკუნის დასაწყისში, სააბატო შერბონში (დორსეტის საგრაფოში). ვირტუალურ გამოსახულებაში ასევე ჩართულია მუსიკალური ფრაგმენტები, ისტორიები ქრისტიანულ რელიგიასა და ღვთისმსახურების თავისებურებათა შესახებ.

ჰარისონ ფორდი ხუთი შვილის მამა გახდება

60 წლის ჰარისონ ფორდმა, რომელიც უკვე რამოდენიმე თვეა, მსახიობ კალისტა ფლოკჰარტს ხვდება, მამობის სურვილი გამოთქვა. ის კალისტას ვაჟის შვილად აყვანას აპირებს. თუმცა, ჯერ დედისაგან თანხმობა არ მიუღია. კალისტა ყოყმანობს - ერთის მხრივ, მას სურს, რომ შვილს მამა ჰყავდეს, მაგრამ არ სურს, რომ ფორდთან დაშორების შემთხვევაში ბავშვს გული კვლავ ეტკინოს. ამიტომაც ვერ ბედავს ის დოკუმენტზე ხელის მოწერას. წყვილი ერთმანეთს იანვრიდან ხვდება. მათ ქორწილზე ფიქრი ოთხი თვის წინ დაიწყეს. თუმცა, კონკრეტული დრო ჯერ არ დაუსახელებიათ. ამის მიუხედავად, კალისტა ფლოკჰარტი თავს ბედნიერად გრძნობს. მას ძალიან მოსწონს ის, რომ ფორდი დიდ ყურადღებას იჩენს მისი შვილის მიმართ. კალისტა ფიქრობს, რომ ფორდი მის ვაჟს საუკეთესო მამობას გაუწევს, მითუმეტეს მას ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. ჰარისონს ჯერ-ჯერობით ოთხი შვილი ჰყავს: სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

## ბრედ პიტი ამერიკის ყველაზე ლამაზი მსახიობი

პოპულარულმა ამერიკულმა ტელეშოუ "Renk"-მა ყველაზე ლამაზტანიანი მსახიობი გამოავლინა. პირველი ადგილი ბრედ პიტმა დაიკავა. მართალია, იგი შვარცენეგერივით და ვან დამივით მძლეოსნის ტანს ვერ დაიჩემებს, მაგრამ მისი სიმპათიური გარეგნობა და მამაკაცური მომხიბვლელობა, ამერიკელებისთვის ყველაზე სასურველი აღმოჩნდა. ბრედ პიტმა თავის ლამაზი სხეული ბოლო გახმაურებულ ფილმებში "დიდ კუშსა" და "მეომართა კლუბშიც" გამოაჩინა. ბრედის მეუღლემ მსახიობმა ჯენიფერ ენისტონმა შოუში მეთორმეტე ადგილი დაიკავა.

ლამაზტანიან მსახიობებში მეორე ადგილი ჰელი ბერის მიაკუთვნეს. ეს შავკანიანი მსახიობი "პაროლი - ხმალთევზას" შემდეგ გახდა ცნობილი. ამ როლისათვის იგი "ოსკარითაც" კი დააჯილდოეს. მესამე ლამაზმანი – სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდხენია. სხვათაშორის, ბუნდხენის ყოფილი შეყვარებული ლეონარდო დი კაპრიო ამ სიაში საერთოდ ვერ მოხვდა.

მეოთხე ადგილი მადონამ დაიკავა. ოცეულში ასევე მოხვდნენ: ბენჯამინ ბრეტი, ბრიტნი სპირსი, ჯენეტ ჯექსონი, ჯენიფერ ლოპესი, კაილი მინოუგი, დენიზ რიჩარდსი და სინდი კროუფორდი.

## მადონა იტალიური რიმეიქის გმირი გახდება

მალე ეკრანებზე გამოვა ახალი ფილმი, სადაც მთავარ როლს მადონა შეასრულებს. როგორც ჩანს, მადონას მოსვენებას არ აძლევს მსახიობის კარიერაზე ფიქრი. მისი მონაწილეობით, ფილმების უმრავლესობა ხომ, "ევიტას" გარდა, კომერციულად წარუმატებელი გამოდგა (პრესის კრიტიკას რომ თავი დავანებოთ).

ამჯერად ვარსკვლავმა თხოვნით მიმართა მეუღლეს, ბრიტანელ რეჟისორს, გაი რიჩს, რომელმაც უნდა გადაიღოს 1975 წლის იტალიური Swept away-ის რიმეიქი.

## გარდაიცვალა ვუდსტოკის მოძღვარი

ამერიკის "ყვავილების თაობის" გურუ, სვამი საჩინანდანა, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინდოელი მოძღვარი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი იმის შემდეგ, რაც 1969 წელს ლეგენდარული ვუდსტოკის ფესტივალი გახსნა. მაშინ ის ჯიმი ჰენდრიქსის, ჯო კოკერისა და The Who–ს გვერდით იდგა სცენაზე. გურუმ მუსიკას უწოდა "ღვთაებრივი ბგერა", რომელიც სამყაროს მართავს.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

დაცემულს არ სცემენო, მეტყველებს ერთი საყოველთაოდ ცნობილი, თუმც კი ოდნავ არქაული მორალური პრინციპი. ან მე რას უნდა გამოვრჩე აგვისტოს დამლევს ანემიურად დასუსტებულ ჩვენს გაზეთს, რომელიც ბოლო კვირის განმავლობაში მარილის მხოლოდ ორმა მარცვალმა გაახალისა: ზაალ სამადაშვილის ჩანახატმა *ბოშები* და გიორგი გვახარიას სტატიამ *ვანესა* და *"რაგატკები"*. სხვა კი რა იყო, ნეტავ? — არც არაფერი.

იქნებ ვინმემ საფეხბურთო-საარჩევნო ციებ-ცხელების დაწვრილებით ასახვაზე მიმითითოს, მაგრამ, როგორც ჩვენი მკითხველისა და მაყურებლისადმი შეთავაზებული პოლიტიკური დისკუსიების უმრავლესობა, ესეც თავს მოხვეული საკითხია, რომელიც მხოლოდ მას შეიძლება აინტერესებდეს, ვისაც შვილი საფეხბურთო სკოლაში მიუბარებია. დანარჩენებს, ვინც ოდესღაც გულშემატკივრობდა თბილისის "დინამოს" ერევნის "არარატისა" და მოსკოვის "სპარტაკის" წინააღმდეგ, ახლა სულ არ აღელვებს იგივე გუნდის გამარჯვება, მაგალითად, გორის "დილასთან". ფეხბურთი, რომელიც ადრე ჩვენი სანუკვარი ეროვნული ერთიანობის შეგრძნებას აღვივებდა, დღეს ფულის შოვნის იმედად ქცეულა. ტოტალიზატორში ფსონის დასადებად კვირაში ერთხელ მობილური ტელეფონის დამგირავებელ კაცს კი ნამდვილად ვერ მოსთხოვ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრობას. ასე რომ, საზოგადოება გაცილებით უფრო გულგრილი იყო საფედერაციო პერიპეტიების მიმართ, ვიდრე ეს გამოქვეყნებული მასალების რაოდენობიდან შეიძლება დაასკვნას საქმეში ჩაუხედავმა კაცმა.

ამასობაში კი ისევ ბოლო გვერდის სასაცილო ბრწყინვალებას გვაყრიან თვალებში. რას ვგულისხმობ? ახლავე განვმარტავ. საბჭოთა დროს ერთი ეროტიულ-დისიდენტური თამაში არსებობდა: უნდა წარმოგედგინა გამოსახულება — ქალი და მამაკაცი კოიტუსის, ანუ სექსუალური აქტის მდგომარეობაში — ხოლო ამ გამოსახულების ქვეშ, ახსნა-განმარტების სახით, საგაზეთო სტატიების სათაურები მოგეთავსებინა. კომიკური ეფექტი გარანტირებული იყო. დროთა განმავლობაში ამ თამაშმა რატომღაც დაკარგა თავისი ეფექტი და დავიწყებას მიეცა. საგაზეთო სათაურები თითქოსდა რადიკალურად შეიცვალა — ყოველ შემთხვევაში, კვიმატი წარმოდგენები სიცილს უკვე არავის მოგვრიდა. რატომ მოხდა ასე, ალბათ, არც თუ ისე ძნელი გასარკვევია, მაგრამ სხვა დროს იყოს. ახლა მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ B-ბლოკის ბოლო გვერდმა საეჭვო გემოვნების ძველ ინტელიგენტურ გართობას ახალი სიცოცხლე მისცა: *პირველად თეთრი სახლის ისტორიაში, ბანდერასისა და ტომპსონის გმირული ტანდემი, ვუფი ჰარილსონს გოლები გააქვს, ტომი ჰილფიგერის ახალი თავსატეხი*... ღიმილს იკავებ, მკითხველო? სწორადაც იქცევი: ის, რაც ოდესღაც რეპრესიული რეჟიმის პირობებში წარმოშობილი სუსტი, მაგრამ მაინც კარნავალური ელემენტი იყო, დღეს უბრალოდ პატარა უწყინარ "იზვრაშჩენიედ" იქცა.

სწორედ ასეთი პატარა და უწყინარი "იზვრაშჩენიე" არის დღეს დასავლეთისკენ გაჭრილ ზოგიერთ სარკმელში ყურებაც. აქ მე ისევ და ისევ ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულ "როიტერისგან" ნაყიდ ბრწყინვალე ფოტოებს ვგულისხმობ...

მაგრამ ზოგჯერ სხვა სარკმლებშიც გვიწევს გახედვა. აი, მაგალითად, 23 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი ნარკვევი კანადური სუპერმარკეტების შესახებ. ავტორი, ნინა გუჯაბიძე, რომლის გვარის ქვეშ აღნიშნულია — "კანადა, ვინიპეგი" — უცხოეთშიც არ ივიწყებს "ვისი გორისაა": ვერანაირად ვერ სძლევს ცდუნებას, თავისი უპირატესობა გვაჩვენოს ჩვენ, სამშობლოში უნუგეშოდ ჩარჩენილებს. აბა, სტატიის ფინალი ვნახოთ: "ახლადჩამოსული ქართველები, როგორც წესი, ოდნავ იბნევიან ხოლმე ასეთ მაღაზიაში მოხვედრისას. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, პირველად ვინმე გამოცდილის თანხლება. სუპერმარკეტში გათვითცნობიერებული პიროვნება იმას მაინც აგიხსნით, რომელი კარაქის ნაირსახეობა აჯობებს, ან რომელი პური უფროა მიახლოებული მშობლიურ *ბუხანკასთან*". ერთი ძველი თბილისის სწორუპოვარ მცოდნეს, გიო ახვლედიანს უნდა ვკითხო, მერამდენე დღეს ამჩნევდა ხოლმე რომელიმე ვარდისუბნიდან ვერაზე გადმოსახლებული ქართველი, რომ ყოფილ თანამემამულეებს უკვე შეიძლება უწოდო სოფლელები? მხოლოდ ეს როდია ჩვენი ეროვნული თვისება, აბა "ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს", რომ სხვისი საჭმელი არ დაიწუნოს: ნახევარფაბრიკატებიც და დიეტური ნაყინიც თურმე საშინლად უგემური ყოფილა, მარწყვი კი გენეტიკური დანამატების გარეშე — სრულიად უვარგისი. არც ჩვენი ფუნდამენტური თვისება — ფულის ყადრის არცოდნა — დაუკარგავს ნინა გუჯაბიძეს: ერთი მხრივ, გვამცნობს, რომ ერთი ცალი ლეღვი შეიძლება 2 დოლარი ღირდეს, 56 გრამი ტარხუნა კი — 4 დოლარი, მაგრამ არ გვეუბნება, ეს აშშ-ს თუ კანადური დოლარებია. ადამიანების ერთობლიობა, რომელსაც სულ უფრო და უფრო ხშირად "მოსახლეობად" მოიხსენიებენ, ალბათ, იმის გამო, რომ ნინა გუჯაბიძესავით არ გაუმართლა და დეზერტირების ბაზარზე უწევს სიარული, უფრო აშშ-ს დოლარებით მიეჩვია ანგარიშს. განსხვავება მნიშვნელოვანია: დღევანდელი კურსით 1 კანადური დოლარი 64 აშშ ცენტია. ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ: სინამდვილეში ლეღვიც და ტარხუნაც იმაზე თითქმის ორჯერ უფრო იაფი ღირს, ვიდრე თქვენ ივარაუდეთ. თანაც გაზეთის რედაქციამ თქვენზე უკვე იზრუნა და თავზარდამცემი კანადური სუპერმარკეტის მაგიერ მშვიდობიანი, ან როგორც ახლა ამბობენ, "საყვარელი" თბილისური მინიმარკეტის ფოტო დაურთო სტატიას.

ფოტოგრაფია, საზოგადოდ, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი გაზეთის ცხოვრებაში. ბევრი უხეირო პუბლიკაცია სწორედ ხან სამამულო და ხანაც "იმპორტულმა" ფოტოებმა გადაარჩინა — ხომ გახსოვთ, თუნდაც, მადი სერებრიაკოვას სტატია მოცარტის "დონ ჟუანის" ავსტრიულ დადგმაზე. და მაინც, ვერავინ უნდა შეიყვანოს შეცდომაში რობერტ სტურუას ყოვლად ნეტარმა გამომეტყველებამ, რომელიც მარიკა ამურველაშვილის ფოტოებზე აისახა: 19 აგვისტოს გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც რობერტ სტურუასგან თამარ ბოკუჩავას მიერ აღებულ ინტერვიუს წარმოადგენს, აშკარად გვიჩვენებს, რომ "რაღაც დალპა დანიის სამეფოში"...

### რატომ არ შერჩათ ჩვენს რეპორტიორებს ნიჭი?..

თავიდან ხომ ყველა ნიჭიერი ბავშვის როლით იწყებს. მერე კი? მერე სად იკარგება ეს ყველაფერი? ამ საკითხზე ჩემი თვალსაზრისი მრავალგზის გამომითქვამს, და ამიტომ ზედმეტი რიტორიკის გარეშე ისევ ვიტყვი, რომ მთავარი ბრალი საშუალო სკოლასა და თხზულებების, ანუ "თემების" წერის იქ გაბატონებულ პრაქტიკას მიუძღვის. ამ პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თვისება საზრისის მიმართ გულგრილობაა, ანუ ისეთი ვითარება, როცა წინადადების გარკვეული, ხშირად გაყინული და უსიცოცხლო წყობა თვითმიზნად იქცევა, ხოლო სათქმელი აუცილებლად უნდა მოთავსდეს ასევე გარკვეულ, ყოველთვის ძალიან ვიწრო ჩარჩოში.

ვნახოთ, როგორ იწყება ეს ტექსტი: "რობერტ სტურუა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც სიცოცხლისადმი შეუნელებელი ინტერესი მთელი ცხოვრება მიჰყვებათ". იქნებ სჯობდა, ამ წინადადებაში "სიცოცხლესა" და "ცხოვრებას" ადგილი შეეცვალათ ერთმანეთისთვის? მაგრამ ჩვენ მცირეთა ნადირთა დასახოცად როდი წამოვიწყეთ ეს მძიმე საქმე! ამიტომ, ცოტა წინ წავიწიოთ: "ამ თვისებას [სიცოცხლისადმი ინტერესს — ნ. ლ.] ერთგვარი ინტელექტუალური ჰედონიზმი შეიძლება ეწოდოს. ამიტომ ისინი ერთდროულად რაციონალისტებიც არიან, მისტიკოსებიც და მორალისტებიც. ყველა ეს თვისება, მათთვის ასევე დამახასიათებელი რეფლექსიის წყალობით, ირონიით რბილდება. შესაბამისად, სტურუას შემოქმედებაც ყველაფერს მოიცავს — შექსპირს, თანამედროვე ევროპულ ინტელექტუალურ დრამასა თუ კალდერონის რელიგიური მისტიციზმით განმსჭვალულ პიესებს, პოლიტიკურ თეატრსა და ფოლკლორულსა და მითოსურ არქეტიპებს, ნაციონალურსა და კოსმოპოლიტურს, პოეტურსა და პროზაულს". ტექსტი აშკარად სასკოლო თემიდანაა, თანაც ფრიადოსანი მოსწავლის სასკოლო თემიდან: მარტივი სინტაქსი (თუ წინადადება გრძელია, მხოლოდ ერთგვაროვანი წევრების ხარჯზე) და სხვადასხვა "განათლებული" სიტყვებით გამდიდრებული, უფრო სწორად, გაფუყული ლექსიკა. მაგრამ, რა გამომდინარეობს ყოველივე ამიდან? — ის, რომ რობერტ სტურუას შემოქმედებითი მრავალფეროვნებისა და სიუხვის საფუძველი სრულიად ბანალური თვისება — სიცოცხლისადმი შეუნელებელი ინტერესი ყოფილა. თვით სახელმოხვეჭილი რეჟისორი მხოლოდ თავისი ინტერესების მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი და ინტერვიუს ავტორი რეჟისორს მისი განსაკუთრებული წვლილის მოკლე მიმოხილვით კი არ გამოყოფს ადამიანების უსახური ერთობლიობიდან, არამედ რთავს "სიცოცხლით დაინტერესებულთა" ბრბოში.

ყოვლად უფერულ შესავალს საკუთრივ ინტერვიუს ტექსტი მოსდევს, ჩვენ კი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით... საქმე ისაა, რომ აუდიოჩანაწერის გაშიფვრა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ რესპონდენტის მიერ ნათქვამიდან ყველა "ნუ", "ტო", "ვაბშე" და "პროსტომც" მოაშორო, არც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სათანადო რედაქტირებით ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ეს სამეტყველო ნაგავი საერთოდ არ ყოფილა. რეპორტიორის ხელოვნება იმ ეტაპზე იწყება, როცა სტილზე მუშაობა უკვე დასრულდა. ამ მომენტიდან უკვე ტექსტზე უნდა ვიმუშაოთ და არ უნდა ვაფიქრებინოთ მკითხველს, თითქოს რესპონდენტს მძიმე შრომისაგან გადაღლილს მივუსწარით, როცა ყურადღება მოდუნებულია, ნათქვამზე პასუხისმგებლობა კი დაქვეითებული.

რამდენი ხანი სჭირდება ინტერვიუს აღებას? ალბათ ორი ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამი საათი. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ ითქმის. ბევრი რამ ისეთიც, რაც გემოვნებიან კაცსაც კი გაეპარება უნებლიედ. ეს სანანებლად არ უნდა დაურჩეს რესპონდენტს.

წინასწარვე აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რა აზრს გამოიტანს მკითხველი ჩვენს მიერ მომზადებული ტექსტიდან. განსახილველი ინტერვიუსაგან კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რობერტ სტურუა სასტიკად გადაღლილია, მაგრამ ამის გამო კი არ ანელებს თავისი მოღვაწეობის რიტმს, არამედ საშინლად ჩქარობს: ჩქარობს, დადგას სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" და ჩქარობს, რაღაც მყუდრო ადგილი გამოძებნოს ჩვენს კალეიდოსკოპივით არამდგრადსა და ცვალებად სინამდვილეში. ეს ადგილი, მისი აზრით, ნაციონალ-კონსერვატიული განწყობაა...

ყველაფერი იწყება იმით, რომ თამარ ბოკუჩავა ნამდვილად ვერ ჩაწვდა ბეკეტის ხსენებული პიესის არსს: "ამჯერად ბატონი რობერტი ირლანდიელი სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" დგამს, პიესას კლოშარ ფილოსოფოსებსა და მისტიკოსებზე". როგორც შემდეგ გამოჩნდება, თამარ ბოკუჩავას ეს წინადადება წინასწარ განსაზღვრავს მთელი ინტერვიუს ორ ძირითად მიმართულებას: 1) ეროვნულ-ეთნიური: "ირლანდიელი სამუელ ბეკეტი" — რა მოწყვეტით ჟღერს, ნამდვილი განაჩენია, თითქოსდა ან სხვა, არაირლანდიელი სამუელ ბეკეტიც არსებობდეს, ან ერთადერთი ბეკეტის ყველაზე ძლიერი მახასიათებელი მისი ირლანდიელობა იყოს; 2) კონცეფტუალური: საქმე ისაა, რომ "გოდოს მოლოდინში" არაა პიესა კლოშარ ფილოსოფოსებზე და მისტიკოსებზე — ამგვარი კვალიფიკაცია ლიტერატურულ პერსონაჟებს, ისევე როგორც ცოცხალ ადამიანებს, მათ გარშემო ასახული ან არსებული სოციალური კონტექსტის საფუძველზე შეიძლება მივცეთ. ბეკეტის პიესაში კი არანაირი სოციალური კონტექსტი არაა ასახული. შეიძლება ვთქვათ, რომ პიესის პერსონაჟებს რაღაც გარეგანი, მისი ძირითადი საზრისის მიმართ აქციდენტური მოსაზრებით კლოშარებისა და ლუმპენების, ან წვრილი ბურჟუების სახე მისცა ავტორმა, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს პიესა კლოშარებზე, ლუმპენებზე და წვრილ ბურჟუებზეა, ნაწარმოების ეგზისტენციალისტური დატვირთვის მიმართ შეცდომა იქნებოდა. განსხვავება საკმაოდ ფაქიზია, მაგრამ არსებითი.

სწორედ შესავლის ამ ბოლო წინადადების საფუძველზე ვასკვნი, რომ თვით ინტერვიუს ტექსტი ეს რეჟისორის ცნობიერების ნაკადის პროექციაა ინტერვიუერის უაღრესად მოკრძალებულ შესაძლებლობებზე.

ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ იკვრება ასეთი მჭიდრო კავშირი ირლანდიასა და სიღარიბეს შორის. ირლანდიელებთან მიმართებაში ინტერვიუერი ეკითხება რეჟისორს: "შეიძლება თუ არა სიღარიბე პროდუქტიულ ძალად იქცეს?". თუმც რეჟისორი არანაირ პასუხს არ იძლევა ამ ზოგად შეკითხვაზე, მის სიტყვებში ირლანდიელთა ეკონომიურ ხელმოკლეობაზე მაინც საკმაო მინიშნებები შეიმჩნევა: "ინგლისელთა წყალობით საშინელი შიმშილი ირლანდიაში ორი საუკუნე გაგრძელდა, კაციჭამიობის შემთხვევებიც კი არის ცნობილი. შედეგად დაიწყო იძულებითი ემიგრაცია ამერიკაში ... შიმშილმა, ეტყობა, ისეთი დაღი დაადო ერს, რომ მათი ნაციონალური ნიშანი გახდა". რას იზამ, შიმშილზე ჰკითხეს და უპასუხა, რაც იცოდა, არ აწყენინა გოგონას. როგორც ეტყობა, თვით ავტორს სურდა ირლანდიელებისა და ქართველების რამენაირად დაკავშირება, მაგრამ ვერაფერი მონახა მათ შორის საერთო, ეკონომიური სიდუხჭირის გარდა. არადა, შეეძლო: მაგალითად, ირლანდიელებიც, ქართველების მსგავსად, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის გარეთ აღწევენ წარმატებასა და აღიარებას. ამაზე რომ ეკითხათ რობერტ სტურუასათვის, ალბათ, სხვა რამეს უპასუხებდა ეს კეთილი (ფოტოსურათებიდან ვასკვნი) და დაღლილი კაცი, და იმას მაინც გადარჩებოდა, ირლანდია ასე რომ დაამსგავსა სომალის.

მაგრამ არა: ავტორს საშინლად უნდა, სამუელ ბეკეტი "ძირძველ", პატრიოტ, საკუთარ ფესვებს ჩაჭიდებულ ირლანდიელად დაგვიხატოს და ამიტომაც ათქმევინებს რეჟისორს, რომ ბეკეტი "სარწმუნოებით ჰუგენოტია, მისი წინაპრები კი წარმოშობით საფრანგეთიდან იყვნენ და ირლანდიაში ბართლომეს ღამეს გამოექცნენ". არც მთლად მოშიმშილე ირლანდიელი გამოდის ეს ჩვენი ბეკეტი, მაგრამ ეს არაფერი, მთავარია, ფესვებს არ ივიწყებს, თუნდაც ეს ფესვები ბართლომეს ღამესავით ძველი იყოს. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ბეკეტის წინაპრები, ალბათ, პროტესტანტების დევნას გამოექცნენ და არა საკუთრივ ბართლომეს ღამეს, რადგან ეს უკანასკნელი ერთი დღით ადრე საიდუმლოებით იყო მოცული, მეორე დღეს კი — უკვე ჩავლილი. მაგრამ ბეკეტის რთული და ჩახვეული ბექგრაუნდი ამას არ სჯერდება, მისი ფესვები თურმე გაცილებით უფრო ღრმად აღწევს: ვგებულობთ, რომ ირლანდიელები "კელტები არიან და იბერიული სისხლიც ურევიათ". ესეც ასე! — ფსევდოდიონისე არეოპაგელს, პეტრე პირველს, გრეგორი პეკსა და ჩვენი ერის კიდევ მრავალ სასახელო წარმომადგენელს ახლა სამუელ ბეკეტიც მიემატა. კიდევ კარგი, მართლმადიდებლობა არ დააბრალეს, თუმცა პროტესტანტიზმის ერთი მეტად საინტერესო და ფრიად ორიგინალური განმარტება კი შემოგვთავაზა თამარ ბოკუჩავამ: "მიუხედავად იმისა, რომ ბეკეტი პროტესტანტია, იგი თავისი კულტურის ყველა თვისებას იზიარებს". პროტესტანტი ყოფილა ადამიანი, რომელიც თავისი კულტურის ყველა თვისებას არ იზიარებს. ეჰ, რამდენი რამაა ამქვეყნად, ჩემო ჰორაციო, რაც არცთუ ფილოსოფოსებს, — ქვეყნად არავის დასიზმრებია.

შეკითხვები ამ ინტერვიუს განსაკუთრებულ და ერთობ საგულისხმო ელემენტს წარმოადგენს. ვერანაირად ვერ დავძლიე შთაბეჭდილება, რომ თამარ ბოკუჩავამ ჯერ ალაპარაკა რობერტ სტურუა, შემდეგ კი მიღებულ სიტყვიერ მასალას შეუწყო რამდენიმე შეკითხვა თუ ჩანართი. მაგრამ ეს მაინცდამაინც კარგად არ გამოსვლია, რადგან, როგორც ეტყობა, გვერდი იყო შესავსები და თავი ვერ აარიდა ზოგიერთი სრულიად ზედმეტი ფრაგმენტის ტექსტში დატოვებას. შედეგად ისე გამოვიდა, რომ ჩვენს სახელმოხვეჭილ რეჟისორს ფეხსაცმელების სიმბოლიკაზე ეკითხებიან, ის კი ლურდის ღვთისმშობელზე გვესაუბრება. მართალია, საუბარი საკმაოდ რბილად გადადის ფეხსაცმლიდან ლურდის სასწაულებზე, ასოციაციური ჯაჭვი საკმაოდ შეკრულია, მაგრამ რა მივიღეთ საბოლოოდ? რობერტ სტურუა მოგვითხრობს, რომ ლურდში სასწაულებრივი განკურნების ოციათასამდე შემთხვევა აღირიცხა: "რომის პაპის კომისიამ ამ ოციათასიდან მხოლოდ ორი ათასის უტყუარობა დაადასტურა. ისინი გაცილებით უფრო მკაცრად იკვლევენ სასწაულების ფაქტებს, ვიდრე მეცნიერები, რადგან სურთ, ეკლესიისადმი ნდობა შეინარჩუნონ და მისტიფიკაციის ბრალდებას აარიდონ თავი". ჩვენ ხომ ინტერვიუს ვკითხულობთ, მეგობრებო, ჩვენ ხომ სხვის კერძო საუბარს არ ვაყურადებთ! რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მას შემდეგ, რაც ინტერვიუს წასაკითხად განვეწყვეთ? მოთხრობილი ფაქტიდან შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ: 1) ადამიანთა 90 პროცენტი ცრუპენტელაა; 2) მთხრობელი ვერ ატყობს, რომ ორიათას და ოციათას სასწაულს შორის პრინციპული განსხვავება არაა, რადგან თუნდაც ერთი ჭეშმარიტი სასწაული თავისთავად უდრის მრავალს; 3) მთხრობელმა არ იცის, რომ მეცნიერები კარგა ხანია უკვე ლურდის მოვლენებს არანაირად არ განიხილავენ; 4) მთხრობელი წინასწარ გულისხმობს, რომ კრიტერიუმები, რომლებითაც პაპის კომისია სარგებლობს, ანგარიშგასაწევია. შესაძლოა, სულ სხვა რამის თქმა უნდოდა, უბრალოდ სიტყვას მოაყოლა, რა არ წამოგცდება მოცალეობის ჟამს შენთან სამასლაათოდ მოსულ ადამიანთან ბაასში. რატომ უნდა იფიქრონ ჩვენგან ყველაზე ახირებულებმა, რომ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც მოვლენათა ზედაპირზე დასრიალებს და ეს სრიალი ინტერპრეტაცია ჰგონია? — არა, ნამდვილად არ იყო შესატანი ეს პასაჟი ინტერვიუში!

რატომ ავიწყდება თამარ ბოკუჩავას, რომ გაზეთში გამოსაქვეყნებელი ტექსტი ინტერვიუა და არა სტენოგრამა? აი, მაგალითად, კერძო საუბარში შეიძლება თქვა, რომ მარწყვიც ძალიან გიყვარს და ირმის ხორციც, მერე კი, ასე ოციოდე წუთში, ინატრო, რომ საქართველოშიც გაჩნდეს სიღარიბის ესთეტიკა, მისი ღირებულების განცდა. კერძო საუბარი ხომ მხოლოდ სიტყვებისაგან არ შედგება, იქ კონტექსტს ხმის ტონიც ქმნის, ჟესტებიც, ირგვლივ ცვალებადი სიტუაცია, ყავის სურნელიც და ათასი სხვა რამ. ინტერვიუში კი მხოლოდ სიტყვებია, მეტი არაფერი. ასე რომ, როცა ორ ზემოხსენებულ დებულებას სულ რამდენიმე ათეული სტრიქონი აშორებს ერთმანეთისაგან, ეს უკვე შეიძლება ცინიზმადაც აღვიქვათ. ყურში ჩამესმის რომელიმე ქართველი დიასახლისის რეპლიკა ამაზე: შენს ოჯახში იყოს სიღარიბის ესთეტიკა! ჩვენ კი, თუმც ვერიდებით ამგვარ რადიკალურ მოწოდებებს, მაინც გვახსენდება ნამდვილი ცინიზმი ერთი გათქვირული ქალბატონისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ამხნევებდა სრულიად საქართველოს, რომ მომჭირნე დიასახლისი თვეში რვა ლარადაც არჩენს ოჯახს.

არა, ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ჩვენში ისეთი ენობრივი სიტუაცია (მაპატიეთ, სოციოლინგვისტური ტერმინია), როცა ადამიანის სოციალური მდგომარეობა და მისი მეტყველება მკაფიო შესაბამისობაშია მოყვანილი. ხომ სრულიად შეუძლებელია იმის წარმოდგენა, როგორ (რა კი არა, — როგორ) უნდა ილაპარაკოს ქართულად მემარჯვენემ, მემარცხენემ, უნივერსიტეტის პროფესორმა, მღვდელმა... დისკურსები არეული კი არა, მართლაც რომ ათქვეფილია ერთმანეთში. ამიტომაც ქალაქის მერის მეტყველებაში წამდაუწუმ ისმის მეუდაბნოე მამის "რამეთუ", დაზვერვის შეფის სატელევიზიო გამოსვლებიდან კი უბნელი "აბიჟნიკი" იჭყიტება. ვერც რობერტ სტურუასთან ინტერვიუს გავუგეთ, ვინ უნდა წაიკითხოს იგი. ინტელექტუალმა, რომელსაც გული აერევა წინადადებაზე "სიცოცხლის ესთეტიკური და ინტელექტუალური საცდურებით აღსავსე მრავალფეროვნება, სისავსე და წინააღმდეგობრიობა თეატრალური მოედნის სივრცეში ექცევა", ან მძიმე ცელოფანების თრევით დატანჯულმა ოჯახის მამამ (ქართველს ხომ განსაკუთრებით უჭირს ცელოფანების თრევა და ირლანდიელისთვის ხომ ეს საერთოდ სიკვდილი იქნებოდა! — რობერტ სტურუას მართლაც რომ ეგონოს ასე, განა დღევანდელი ქართული აზროვნების ეს "თვალი პატიოსანი" მაინცდამაინც ბეჭდვითი სიტყვის საჭრეთლით უნდა მოვაწახნაგოთ?).

ესეც რომ არ იყოს, რამდენი რამაა საჭირო ტექსტთან მუშაობისას! ყველაფერი უნდა გაითვალისწინო: მაგალითად ის, რომ ქრისტეს გვერდით ყაჩაღები კი არა, ავაზაკები აცვეს ჯვარს, რომ მაცხოვრის წყლულების ანალოგიურ წყლულებს სტიგმატები ჰქვია, რომ ლონდონში ერთზე მეტი ცენტრალური ქუჩაა, რომ ირმის ფიტულს მაცივარში "გიჟი" ირლანდიელებიც კი არ დებენ.

როგორც ვხედავთ, საზრისისადმი, შინაარსისადმი ჩვენს მიერ უკვე ნახსენები გულგრილობა რობერტ სტურუასთან ინტერვიუს ყოველი სიტყვიდან გამოსჭვივის. თამარ ბოკუჩავამ ნამდვილად უნდა დაივიწყოს ყველაფერი, რაც სკოლაში ასწავლეს. ასე უფრო მოუხდება. მაგრამ იქნებ მთლად სკოლაც არაა დამნაშავე იმაში, რომ ჩვენთან შინაარსის ღირებულებას მაინცდამაინც არ დაგვიდევენ. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, სადაც ეროვნული თეატრის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა ვინმე გუცკოვის პიესამ.



## ტყვიის სროლა

# ჩინელებმა ევროპა შეავიწროვეს

მიუნხენში ახლახან დასრულებულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასზე პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა ნინო სალუქვაძე – იგი მეექვსე ადგილზე გავიდა. 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში სალუქვაძემ ფინალამდე 381 ქულა დააგროვა. ფინალში კი, შემაჯამებელი ათი გასროლის შედეგად, 98,3 ქულას მოუყარა თავი და 479,3 ქულით დაასრულა ასპარეზობა. უნდა ითქვას, რომ ახლანდელი შედეგები გაცილებით უარესია ლახტის მსოფლიო ჩემპიონატის მიღწევებისგან (აქ მარტო სალუქვაძეს კი არა, მის დანარჩენ მეტოქეებსაც ვგულისხმობთ). თვენახევრის წინათ, როდესაც სალუქვაძე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ფინალში 99,9 ქულა დააგროვა. უკრაინელმა ოლენა კოსტევიჩმა მიუნხენის მსოფლიოს თასზე 99,0 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი ჩინელი ლუნა ტაოც ვერ დაიკვეხნის ბრწყინვალე შედეგით – 97,8. რომ არა ფინალში გასასვლელად დაგროვილი 390 ქულა, გამარჯვებული, ალბათ, უკრაინელი იქნებოდა. პრიზიორთა შორის დუელიც სწორედ მათ შორის გაიმართა. უკრაინელს, რომელიც მიუნხენის მსოფლიო თასამდე რეიტინგის სათავეში იყო, ალბათ, ძველ ადგილზე ჩამოქვეითება მოუწევს. გამოთავისუფლებულ ადგილს კი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი ლუნა ტაო დაიკავებს. მათი გადაადგილება, ალბათ, სალუქვაძის რეიტინგზეც იქონიებს გავლენას. ყოველ შემთხვევაში, ნინო დღემდე მეორე იყო. მსოფლიო თასის გათამაშების მესამე პრიზიორიც ჩინელი იე რენია. მან შარშანდელ გათამაშებაშიც მოიპოვა მედალი.

## წყალბურთი

# ფინალში ისტორია გამეორდება

გიგა გურასაშვილი

წყალბურთელთა ტურნირები თუ ჩემპიონატები მეტწილად ერთი და იგივე სცენარით იმართება. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც ბელგრადში მიმდინარე მსოფლიო თასის ფინალისტთა ვინაობა შევიტყვეთ. მივყვეთ თავიდან. მეოთხედფინალში უნგრელების მიერ საბერძნეთის ძლევისა (10:7) და მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთის ნაკრებთან რუსეთის გამარჯვებამ (6:5) მადიარებსაც და ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებსაც ნახევარფინალის საგზური მოაპოვებინა. ნახევარფინალებში კი მოვლენები ასე განვითარდა. უნგრეთ-იუგოსლავიის დაპირისპირებაში მეტოქეებს ნერვიულობა ეტყობოდათ, ორივე მხარე ცდილობდა, უშეცდომოდ ეთამაშა. პირველ ხუთ წუთში ყველაზე უკეთ დაცვის ხაზი გამოიყურებოდა. მატჩის ქრონოლოგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თამაშის ბედი მეორე მეოთხედში გადაწყდა, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონი ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდა. უნგრელები ევროპის ჩემპიონ მასპინძლებზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდნენ. იუგოსლაველთა დამარცხებაში კი ლომის წილი მიუძღვის ტამაშ კაშაშს, რომელმაც მასპინძლებს ოთხი ბურთი გაუტანა. მატჩი 7:5 დასრულდა.



რევაზ ჩომახიძე
REUTERS

"ჩვენ აშკარად უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მასპინძლებმა. ნებისმიერი ნახევარფინალური ორთაბრძოლა რთულია, მით უმეტეს, თუ იუგოსლავიას ეთამაშები და, ისიც, მის მოედანზე. ჩემი ბიჭები ნამდვილად ქების ღირსნი არიან", - ამბობს უნგრელთა მწვრთნელი დენეშ კემენი.

მეტოქეს გამარჯვება მიულოცა კოლეგამ, ნენად მანოილოვიჩმაც: "უნდა ვაღიარო, რომ უნგრეთი გამარჯვებას იმსახურებდა. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ გამარჯვებისთვის, მაგრამ წავაგეთ. უნგრელები ისეთივე დაცვითი ტაქტიკით გვეთამაშნენ, როგორც ჩვენ მათ ბუდაპეშტში. დანარჩენ კომპონენტებში კი თანაბარძალოვანი თამაში იყო."

უნგრელებზე განაწყენებულმა მასპინძლებმა მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში პოვეს შვება. იტალია-რუსეთის დაპირისპირებაში იუგოსლაველი გულშემატკივრები ამ უკანასკნელთა მხარეს იყვნენ. რუსებისადმი მხარდაჭერის მიზეზი მათ მიმართ არცთუ სამართლიანმა მსაჯობამ განაპირობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მატჩი ძალზე არათანაბრად წარიმართა. ამაზე ცალკეული პერიოდების ანგარიშიც მეტყველებს – 1-1, 0-1, 1-2, 3-0. თავიდან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს იტალიელებს უნდა გაემარჯვათ. ერთხანს იგებდნენ კიდეც, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიელმა ალესანდრო კალჩატერამ ტრავმა მიიღო და, იძულებული გახდა, აუზი დაეტოვებინა, რუსებმა იმარჯვეს. ბოლო მეოთხედში რუსებმა სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს იტალიელებს, აქედან ბოლო - მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე გავიდა. რუსებმა 5:4 მოიგეს.

"მსაჯები თამაშს ვერ აკონტროლებდნენ. ეს ყველაზე უკეთ მატჩის მიწურულს გახდა თვალში საცემი. მეტოქეებისგან განსხვავებით, კრიტიკულ მომენტებში ჩვენ თავი არ დაგვიკარგავს. მოგებით კი დავამტკიცეთ, რომ მსოფლიო თასზე შემთხვევით არ მოვხვედრილვართ", - გაბრაზებული ჩანდა რევაზ ჩომახიძე.

## რაგბი

# ქართველი მორაგბის ფრანგული დოპინგ-სკანდალი

რა რჯულისა და ეროვნების ადამიანი არ ყოფილა გარეული ბოლო დროს გახშირებულ დოპინგ-სკანდალებში. ახლა მათ რიცხვს, შესაძლოა, ქართველი მორაგბეც შეუერთდეს. ფრანგულ "ბრივში" მოთამაშე მამუკა მაგრაქველიძე ფრანგმა სამართალდამცავებმა სამი დღის წინ დააკავეს. ამის მიზეზი გახდა მაგრაქველიძის სახელზე მოსული საფოსტო გზავნილი, რომელშიც, ფრანგების მტკიცებით, აკრძალული პრეპარატები იყო. ჯერჯერობით დაზუსტებული არაფერია, პოლიცია დასკვნებისგან თავს იკავებს. ფრანგული საინფორმაციო წყაროების ცნობით, მაგრაქველიძეს, სულ ცოტა, კლუბიდან დათხოვნა ემუქრება, უარეს შემთხვევაში კი, ფრანგული მართლმსაჯულების წინაშე წარდგება. ამჟამად მიმდინარეობს პრეპარატების სამედიცინო ანალიზი, თუმცა, ფრანგების თქმით, ამის აუცილებლობა არ იყო, რადგან ყველა პრეპარატი ქარხნული წესით არის დამზადებული და ეტიკეტზე აწერია, თუ რას შეიცავს.

## კრივი

# გულჩვილი მუჰამედ ალი

ნინო პირველი

მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდად ქცეულმა ამერიკელმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ დიდი ხანია, აქტიურ სპორტს თავი დაანება და აზარტული ჩხუბის მოყვარულთ თავისი გოლიათური სხეულის სიძლიერით აღარ აოცებს, საზოგადოების ინტერესი მის მიმართ ოდნავადაც არ განელებულა. ხალხს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს უძლეველი მუჰამედ ალი. თავის მხრივ, არც დაბადებით კასიუს კლეის დავიწყებია თავისი გულშემატკივრები.

მძიმედ დაავადებული სპორტსმენი მხოლოდ საკუთარი პრობლემებით როდია შემოფარგლული. მუჰამედ ალის მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენა აღელვებს და აინტერესებს. ლეგენდარულმა მოკრივემ უყურადღებოდ არ დატოვა აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი წყალდიდობა და მოისურვა, გამძვინვარებული მდინარე ელბას მსხვერპლთ დახმარებოდა.

წყალდიდობამ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დააზარალა ჩეხეთი და აღმოსავლეთ გერმანია. საქსონიის მხარე მთლიანად დაიტბორა, ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მუჰამედ ალიზე ძალიან იმოქმედა გერმანელთა გასაჭირმა. მან გადაწყვიტა, დახმარებოდა ქალაქ რიზას მცხოვრებლებს და მიჩიგანიდან გამოგზავნა რამდენიმე წყვილი ხელთათმანი, რომელიც იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ ისინი, თავის დროზე, თავად ალის და ცნობილ გერმანელ მოკრივეს მაქს შმელინგს გამოუყენებიათ რინგზე. ყველა ხელთათმანს ალისა და შმელინგის ავტოგრაფები ამშვენებს.



მუჰამედ ალი

მუჰამედ ალი იმედოვნებს, რომ ეს რელიქვიები აუქციონზე კარგ ფასში გაიყიდება და შემოსული თანხა რიზაში დანგრეული სახლების აშენებას მოხმარდება. ეს პატარა ქალაქი მუჰამედ ალის განსაკუთრებით უყვარს, რადგან მასთან სენტიმენტალური მოგონებები აკავშირებს. მოკრივე რიზაში დაესწრო პრემიერას ფილმისა "ალი", რომელიც ადგილობრივმა ოთხიათასკაციანმა პუბლიკამ აღტაცებით მიიღო და მთავარ პროტაგონისტს ოვაცია გაუმართა. "მე მიყვარს ეს ქალაქი და გული მეტკინა, როცა გავიგე, თუ როგორ დააზიანა იგი წყალდიდობამ. მინდა, დავეხმარო რიზას მოსახლეობას. მაქს შმელინგის ხელთათმანები ჩემთვის ძვირფასი სახსოვარი იყო, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი და, ეს უბედურება რომ არ მომხდარიყო, მას არასოდეს შევეელეოდი. მე ვილოცებ თქვენთვის და ღმერთს შევთხოვ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდეს", - განაცხადა ალიმ.

გერმანიაში ალის ამ კეთილშობილურ ჟესტს დიდი რეზონანსი მოჰყვა. "ბილდმა", გერმანელი ხალხის სახელით, მადლობა გადაუხადა მოკრივეს და მას ნამდვილი ჩემპიონი უწოდა. პარკინსონით შეპყრობილ მუჰამედ ალის, რომელსაც ბოლო დროს გულჩვილობა დასჩემდა, "ბილდის" ეს ქათინაური, ალბათ, ძალიან გაახარებდა.

## ფეხბურთი

### ქართული ფეხბურთის პრეზიდენტს გზა საპატრიარქოში დაულოცეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე გუშინ საპატრიარქოს ეწვივნენ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დალოცა ახლადარჩეული პრეზიდენტი და მას წარმატებები უსურვა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

**საქართველო**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია – დინამო | 1:1 |
| ლოკომოტივი – მილანი | 0:0 |
| სიონი – კოლხეთი 1913 | 1:0 |
| გორდა 2000 – მეტალურგი | 0:1 |
| ტორპედო – დილა | 2:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სტანდარდი – ანდერლეხტი | 0:2 |
| ლიერსი – ბევერენი | 2:0 |
| ვესტერლო – ბრიუგე | 0:2 |
| მეხელენი – მონსი | 0:0 |
| ანტვერპენი – მუსკრონი | 3:1 |
| გენტი – შარლერუა | 2:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ნაიმეგენი – ალკმაარი | 2:0 |
| დეტინჰემი – როოზენდალი | 2:0 |
| როდა – ფეიენოორდი | 2:2 |
| ზვოლე – ექსელსიორი | 1:1 |
| ჰერენვენი – ვაალვიკი | 1:2 |
| პსვ – გრონინგენი | 1:0 |
| ტვენტე – უტრეხტი | 1:1 |
| ვიტესი – აიაქსი | 1:2 |
| ტილბურგი – ბრედა | 1:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| სეტუბალი – ბოავიშტა | 1:1 |
| ლეირია – გიმარაეში | 1:2 |
| სანტა კლარა – ბრაგა | 0:0 |
| ბენფიკა – მარიტიმუ | 3:0 |
| აკადემიკა – სპორტინგი | 0:2 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნიცა – მონპელიე | 2:1 |
| მონაკო – სოშო | 1:0 |
| ოსერი – გენგამი | 2:1 |
| აიაჩო – სედანი | 1:0 |
| ლიონი – ბასტია | 4:1 |
| ბორდო – სტრასბურგი | 1:2 |
| რენი – მარსელი | 1:3 |

## ამბები

### ჰაასების ოცნება

გერმანელი ჩოგბურთელი ტომი ჰაასი წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას ლონგ აილენდის ტურნირზე. მან მეოთხედფინალში ფინელი ნიმინენი დაამარცხა და გავიდა ნახევარფინალში, სადაც მისი მეტოქე საჩოგბურთო სამყაროს ახალი პერსონა, ტაილანდელი სრიჩაპჰანი იქნება.

ტომი თან ჩოგბურთს თამაშობს და თან მამის ჯანმრთელობაზე ფიქრობს. საქმე ისაა, რომ მისი მშობლები – პეტერ და ბრიგიტა ჰაასები 8 ივნისს ფლორიდაში ავარიაში მოყვნენ. პეტერ ჰაასი მძიმედ დაშავდა და ჯერ ისევ მკურნალობს. როგორც ჩოგბურთელის მამა ამბობს, მას წლეულს მხოლოდ ორი ოცნება აქვს – მალე გამოჯანმრთელება და შანხაის ტურნირზე დასწრება, სადაც ტომი იასპარეზებს და მეორე – ოჯახთან ერთად შობის დღესასწაულის აღნიშვნა.

### მონტოია ინგლისში რჩება

გუშინ ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ "უილიამსის" კოლუმბიელი პილოტი ხუან პაბლო მონტოია ინგლისში კიდევ ორი წლით დარჩება. ფორმულა 1-ის მოყვარულები ვარაუდობდნენ, რომ "უილიამსი" ყველანაირად შეეცდებოდა, შეენარჩუნებინა თავისი წარმატებული პილოტი და მისთვის სხვა გუნდში გადასვლის შესაძლებლობა არ მიეცა. ასეც მოხდა. მონტოიას კონტრაქტი 2004 წლის ბოლომდე გაუგრძელეს.

თავად ფრენკ უილიამსი ძალზე კმაყოფილია ამ გარიგებით და აცხადებს, რომ რალფ შუმახერისა და ხუან პაბლო მონტოიას მეშვეობით მისი გუნდი აუცილებლად შეძლებს "ფერარის" ჰეგემონიის დამხობას. კონტრაქტის გაგრძელებით არც მონტოიაა უკმაყოფილო - ისიც "ფერარის" დასამარცხებლად ემზადება.

## TV პროგრამა 26 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი. "ჩვენი ეზო"
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 ველური ბუნება
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ტურა" მთ.როლში ბრიუს უილისი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 დოკ. ფილმი "ეს არის კინო"
08.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია"
09.25 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.15 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "სენსაცია"
12.40, 19.00 ვიდეოაატრული
12.50 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
13.15 ფერმწერი და მონუმენტალისტი (ზ. წერეთელი)
13.40 "საწინდარი"
14.10 "მიამბეთ თქვენზე"
15.15 მხ. ფილმი "მე, ისევ მე"
17.00 საკვირაო გამოფენა
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "სენსაცია"
19.10 ენერგია
19.40 გასტი-ბუზუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "თბილისური ამბები"
22.10 მხ. ფილმი "დაბრუნებული ღიმილი"
23.35 სერიალი "ძილის წინ"
00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 სერიალი "საზღვაო პოლიცია"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "მტრედის ფრთები"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "მემკვიდრე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი "სათამაშოების ისტორია"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 მხ. ფილმი "სასაცილო გოგონა"
14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა"
18.30 მულტფილმი "პინოქიო"
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მოუთვინიერებელი"
10.20 მხ.ფ. "არაფერი როგერის შესახებ"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ბრწყინვალება"
22.15 მხ.ფ. "დიდი განცხრომა"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტროლა"
11.30 ინფორმატორი
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "ცენტრი" განმეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "გალაქტიკის ძიებაში"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "რა უნდათ ქალებს".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მდე და შემდეგ"
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ვირთხების რბოლა"
13.30 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"
15.10 მულტფილმი "იმპერატორის მოგზაურობა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მულტფილმი "შრეკი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "გაიცანით ჯო ბლექი"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის?
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ. ფილმი "შესანიშნავი შვიდეული"
13.50, 17.15, 18.45, 21.10, 21.50, 23.50, 00.20 მუსიკა
14.00, 19.00 დისკავერი
14.30, 17.15, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
14.45, 15.15 მაცაცერა
16.45 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 35-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 35-ე სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.25 მულტფილმი "გოლოს ნახტომი"
22.00 მხ.ფ. "ამერიკელი პრეზიდენტი".
00.40 მხ.ფ. "გოშათა ჟამი" მთ. როლში გორა ტოდოროვიჩი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Новости в воскресень
09.50 ქართული მხატვრული ფილმი "ივანიკა და სიმონიკა"
10.40 "პერსონა"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ოთხფეხა პატარა"
13.45 ფანტასტიკა "ლეგენდა გოლიათზე"
15.15 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ქათმების რბოლა"
17.35 მელოდრამა "სენტ-ექ ზიუპერი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 მხატვრული ფილმი "დები"
20.50 ქართული მხატვრული ფილმი "ლომა", 1 სერია
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 სათავგადასავლო ფილმი "მსუბუქი კავალერია"
03.30 დრამა "მეზობელი ქალი"
05.10 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.40 მელოდია
11.10 ანიმაცია
11.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
11.55 "ობიექტივი"
12.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 "სახლიდან გაუსვლელად" კომპიუტერული ტექნიკა
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.50 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.55 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.25 მოკლედ... სპორტი
22.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
22.55 "კინოკლუბი " - "ზხეფი"
00.45 პრესის მიმოხილვა
00.55 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.45 "ბიორითმი"
02.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00 Новости. 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.10 "Знатоки" возвращаются. в детективе "ОТВЕТНЫЙ УДАР". Дело N 10. 3-я серия. 13.00, 16.00 Новости 13.15 Дольф Лундгрен в боевике Джона Ву "БЛЭК ДЖЕК". 14.55 Поле чудес. 16.15 Приключенческая комедия "ТРУДНЫЙ РЕБЕНОК". 17.55 Премьера многосерийного фильма "САМОЗВАНЦЫ". 19.00 Вечерние новости. 19.20 "Останкинская башня: у всех на виду". Спецрепортаж. 19.40 Софи Марсо, Филип Нуаре в фильме "ДОЧЬ Д'АРТАНЬЯНА". 22.00, 01.00 Время. 22.35 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА": КИТАЙСКИЙ КВАРТАЛ". 23.40 "Абсолютные убийцы", "Правда о хищниках". 00.35 Сериал "УБОЙНАЯ СЛУЖБА". 01.15 "Как стать Наполеоном". Часть 1-я. 01.55 Триллер "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА".

### РТР

06.45 - 09.45 "Доброе утро, Россия". 09.45 Наталья Гундарева, Олег Янковский в фильме "РАЙСКОЕ ЯБЛОЧКО". 11.30 "ХА". Маленькие комедии. 11.50 Вести.. Дежурная часть.12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 Микеле Плачидо, Орнелла Мути в комедии "БОЛЬШОЙ МАГАЗИН". 14.30 "Последний шаг Якова Джугашвили" 15.20 ВЕСТИ.-СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу 16.25 Наталья Орейро в телесериале "ДИКИЙ АНГЕЛ ВОЗВРАЩЕНИЕ". 17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.20 "Вера, надежда, любовь". 19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА. 19.50 Сериал "ВОРОВКА". 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.35 Местное время. Вести. - Москва. 21.55 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. " УКРАДЕННЫЙ СОН". 1-я серия. 23.05 Дмитрий Назаров, Виктор Раков в сериале "ЗАКОН". 00.35 Джеймс Руссо и Айс Ти в остросюжетном фильме "ВЫЗОВ".

### НТВ

07.00 Сегодня. 07.05 Утро на НТВ. 07.30 Сегодня. 07.35 Криминал. 08.00 Сегодня. 08.20 Дальние страны. 08.30 Сегодня. 08.35 Криминал. 09.00 Сегодня. 09.30 Сегодня. 09.50 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 11.00 Сегодня. 11.25 "МОЙ ЛЮБИМЫЙ КЛОУН". 13.00 Сегодня. 13.20 "ОНА НАПИСАЛА БИЙСТВО" (США). 1-я серия. 15.00 Сегодня. 15.05 Ток-шоу. "Принцип "Домино". 16.40 Криминал. 17.00 Сегодня. 17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" 18.30 "ПЕЙЗАЖ С УБИЙСТВОМ" 19.40 Криминал. 20.00 Сегодня. 20.40 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2" 23.00 Сегодня. 23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4" 00.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში